

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
იურიდიული ფაკულტეტი



სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

პროკურორი, როგორც სისხლის სამართლებრივი

დევნის სუბიექტი

ნანა იმედაშვილი

*ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად*

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა აქუბარდია, ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი*

თბილისი
2019

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 2 |
| თავი I. პროკურორის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები..... | 4 |
| 1.1 პროკურატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა..... | 4 |
| 1.2 პროკურორის როლი სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციები..... | 7 |
| თავი II. თანამედროვე კონცეფციები სისხლისსამართლებრივი დევნისა და სხვა საპროკურორო ფუნქციების თანაფარდობის შესახებ..... | 9 |
| 2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება და სახეები..... | 9 |
| 2.2 სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა..... | 15 |
| 2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნა სახელმწიფო ბრალდების ფუნქციისაგან..... | 18 |
| თავი III. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება..... | 24 |
| 3.1. დისკრეციის ცნება..... | 24 |
| 3.2. სუბიექტივიზმის საფრთხე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას..... | 31 |
| 3.3. დაზარალებულის უფლებები სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით..... | 36 |
| 3.4. სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრების განსაზღვრა..... | 39 |
| თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები..... | 42 |
| 4.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით..... | 42 |
| 4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებით..... | 47 |
| თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნა საერთო და კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში..... | 52 |
| 5.1. სისხლისსამართლებრივი დევნა საერთო სამართლის ქვეყნებში..... | 54 |
| 5.2. სისხლისსამართლებრივი დევნა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში..... | 57 |
| დასკვნა..... | 60 |
| ბიბლიოგრაფია..... | 63 |

შესავალი

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობას განაპირობებს დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის შემოღება, რომელიც საპროცესო კანონმდებლობის ნოვაციას წარმოადგენს.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალით ქართული მართლმსაჯულების სისტემა აღარ მიეკუთვნება კონტინენტური სამართლის ქვეყანათა წრეს და ის გადავიდა (შეჯიბრებითი) საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივ დოქტრინებზე, შესაბამისად, გაიზარდა პროკურორის უფლებამოსილებანიც, დღეისათვის პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი სწორედ მისი გადასაწყვეტია, ამდენად, ყურადღებას იპყრობს პროკურორის, როგორც პროცესის სუბიექტის პიროვნება ამ კუთხით, რადგანაც რაც უფრო ფართოა უფლებამოსილება, მით მეტი პასუხისმგებლობა და საფრთხეები მოჰყვება მას.

კვლევის მიზანი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს, პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის დისკრეციული უფლებამოსილების შესწავლასა და გამოკვლევას, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის დისკრეცია სიახლეს წარმოადგენს. ამ თემის გააზრებისთვის კი საჭიროა, კარგად იქნეს გააზრებული, გამოკვლეული და განხილული ის საკითხები, რომლებიც კავშირშია ზემოაღნიშნულ სიახლესთან.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები, მოძიებული ინფორმაცია კი ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით დამუშავდება.

სამეცნიერო სიახლე

1. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი წარმოდგენილია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ჭრილში და მის მიმართ კომპლექსური ხასიათის სამართლებრივ-მეთოდოლოგიური პოზიციის შემუშავება.
2. კანონის იმ ნორმათა გამოვლენა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის რეალიზაციაზე და მათი თეორიული გადაწყვეტა.
3. სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის თანამედროვე, ახლებურ ჭრილში გააზრება.
4. სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას პროკურორის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას რეგულირების გარეშე არსებული საკითხების გადაწყვეტა.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავალისა, 5 თავისა და დასკვნისაგან, თავები დაყოფილია ქვესაკითხებად.

თავი I. პროკურორის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები

1.1 პროკურატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს სამართლებრივი კულტურის განვითარების განმავლობაში, თითოეულ ეტაპზე პროკურატურასა და შესაბამისად, პროკურორს, მნიშვნელოვანი როლი უკავია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სისხლისსამართლებრივ დევნასა და გამოძიებას, რა დროსაც პროკურორთა გადაწყვეტილებას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, საჭიროდ მივიჩნევ, უპირველესად, მოკლედ განვიხილო მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ბრალდების ორგანოს საწყისები ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან გვხვდება, თუმცა ამ ორგანოს სამშობლოდ საფრანგეთს მიიჩნევენ, სადაც პროკურატურა უკვე შვიდას წელზე მეტია არსებობს, ჩამოყალიბდა 1302 წელს, მეფე ფილიპ IV მიერ გამოცემული ორდონანსის საფუძველზე და წარმოდგენილი იყო საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან არსებული გენერალური პროკურორის სახით, ინგლისში აღნიშნული ინსტიტუტი ჩამოყალიბდა მე-15 საუკუნეში, სადაც პროკურატურის ორგანოების ფუნქციებს გარკვეულწილად ასრულებდა საჯარო დევნის დირექტორი, რუსეთში პროკურატურა დაარსდა 1722 წლის 12 აპრილს, პეტრე პირველის ბრძანებით.¹

საყურადღებოა, აგრეთვე, იტალიის მაგალითი-ამ ქვეყანაში მაფიისა და სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების გავლენა იმდენად მაღალი იყო, რომ მთავრობამ გადაწყვიტა, დაეარსებინა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დარგში ეროვნული პროკურორის თანამდებობა.²

„პროკურორი“ ლათინური სიტყვაა და მზრუნველს ნიშნავს. „პროკურატორი“ კი ძველ რომში აღნიშნავდა მმართველს, რწმუნებულს.³

¹ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი" გვ. 20 .

² გაბისონია, ი. (1999). პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი: შპს "ფავორიტი". გვ. 8

³ ი. აქუბარდია საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია, თბ., 1999, გვ. 3

ძველ ქართულ სამართალში ტერმინი „პროკურატურა“ არ ფიგურირებს, ამასთან, აღნიშნული სიტყვა არაა მოხსენიებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

რუსეთის იმპერიის ნაწილად ყოფნის დროს საქართველოში პროკურატურა სწორედ აღნიშნული ქვეყნის გავლენით დაარსდა, 1917 წლამდე, ხოლო იმპერიის დაშლის შემდგომ კი, დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში, იგი არსებობდა სასამართლოებთან და არა დამოუკიდებელი ორგანოს სახით. (1919 წლის 29 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მიერ მიღებული კანონით დამტკიცდა „საქართველოს სენატის დებულება“).

დამოუკიდებლობის დაკარგვასა და გასაბჭოებასთან ერთად კი, 1922 წელს დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურა. აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროიდანვე, პირველივე ნორმატიული აქტით - საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ 1922 წლის 11 ნოემბრის დებულებით, პროკურორს ფართო უფლებამოსილებანი ენიჭებოდა.

1922 წლის 11 ნოემბერს დადგენილების- „პროკურატურის შემოღების შესახებ“ საფუძველზე დამტკიცდა დებულება „პროკურატურის შესახებ“. მას რესპუბლიკის პროკურორის სახით ხელმძღვანელობდა იუსტიციის სახალხო კომისარი. აღნიშნული დებულება წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის მარეგულირებელ პირველ საკანონმდებლო აქტს, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოს პროკურატურა, რომელიც შევიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. ამავე დებულებით, საქართველოს პროკურატურას დაევალა სახელმწიფოს სახელით ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების მოქმედების კანონიერებაზე, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სამართლის დევნის დაწყება. დაევალა, ასევე საგამომიებო ორგანოზე უშუალო მეთვალყურეობა, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა და მეთვალყურეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე.

ამდენად, პროკურატურის დაარსებით შეიქმნა სპეციალური დაწესებულება, რომელიც ზედამხედველობდა კანონის დებულებათა აღსრულებას ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ასევე, იგი აკონტროლებდა თანამდებობისა და კერძო პირების მოქმედებებს, წინასწარგამომიებას,

სასამართლო კანონთა დაცვასა და დაპატიმრების კანონიერებაზე ზედამხედველობას.

წლების გასვლასთან ერთად, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურა იცვლებოდა, თუმცა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ უწყების შექმნას, უცვლელი რჩებოდა.

შემდგომ წლებში განხორციელებული ცვლილებების წყალობით, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროკურატურა დაექვემდებარა სსრკ-ის პროკურატურას, შემოდებულ იქნა პროკურატურის ორგანოთა ცენტრალიზებული აგება და ეს სტრუქტურა შენარჩუნდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1992 წლის 17 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“. აღნიშნულ დებულებაში შეტანილი ცვლილებით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პროკურატურის უფლებები. პროკურატურას ჩამოერთვა საერთო ზედამხედველობის ფუნქცია.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიხედვით, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების ორგანო იყო.⁴

პროკურატურის სასამართლოსადმი დამოკიდებულება 2004 წლის 6 თებერვალს შეიცვალა, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა და სწორედ ამ ცვლილებათა წყალობით, პროკურატურა სრულიად დამოუკიდებელ, ერთიან ორგანოდ გარდაიქმნა, 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლის მიხედვით პროკურატურა შევიდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, როგორც საქვეუწყებო დაწესებულება.⁵

2018 წლის 30 ნოემბერს მიღებულ იქნა პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და კვლავ დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდა.

⁴ გაბისონია, ი. (1999). პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი: შპს "ფავორიტი". გვ. გვ. 17.

⁵ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი".

1.2 პროკურორის როლი სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციები

პროკურორები, კანონის შესაბამისად, თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ ობიექტურად, თანმიმდევრულად და სწრაფად, პატივს სცემენ და იცავენ ადამიანის ღირსებას და ადამიანის უფლებებს, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სათანადო პროცესისა და მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში.⁶

პროკურატურის ფუნქციები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირდება, თუმცა სანამ აღნიშნულს დეტალურად შევხებით, განვიხილოთ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპები და ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფს კოდექსით დადგენილი ფუნქციების შესრულებას.

პროკურატურის საქმიანობის პრინციპებია:

- ა) კანონიერება და სამართლიანობა;
- ბ) ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- გ) პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა;
- დ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- ე) ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა მუშაკის მთავარი პროკურორისადმი დაქვემდებარება;
- ვ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.⁷

პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

- ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;
- ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების სტადიაზე;
- გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას;
- დ) ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატი

⁶ სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ-გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები. წიგნი მე-2. გამომცემლობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი, 1999.

⁷ საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ. თბილისი (30.11.2018)

ულ-სამმეზრო ორგანოების საქმიანობისას;

ე) ამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების ადგილებსა და პენიტენციურ და სხვადაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს აღასრულებენ;

ვ) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს როგორც მხარე, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას და ა.შ.⁸

პროკურორის როლი, სამართლებრივი მდგომარეობა, მისი ფუნქციები და მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესში, ასევე საქმიანობის ფორმები, რომლებითაც იგი ახორციელებს თავის მოვალეობებს-განისაზღვრება ზოგადად სამართალწარმოების ამოცანებითა და იმ კონკრეტული ამოცანებით, რომლებიც უნდა გადაწყდეს ცალკეულ სტადიებზე.

პროკურორი არის სუბიექტი, რომელსაც განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია მთელ სისხლის სამართლის პროცესში. მას, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამართლიანობის აღდგენასა და კანონის უზენაესობის დაცვაში, შესაბამისად, მისი თითოეული უფლება თუ მოვალეობა, ახდენს რა გავლენას არა მხოლოდ ბრალდებულზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე, გაწერილია კანონით, ხოლო მისი დისკრეციული უფლებამოსილებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი, სამართლიანი, დასაბუთებული და ეხმიანებოდეს სახელმწიფოს, მისი თითოეული მოქალაქის ინტერესებს.

⁸ საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ. თბილისი (30.11.2018)

თავი II. თანამედროვე კონცეფციები სისხლისსამართლებრივი დევნისა და სხვა საპროკურორო ფუნქციების თანაფარდობის შესახებ

2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება და სახეები

ჩვენ ქვეყანაში, 2010 წლის პირველ ოქტომბერს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა, რომელმაც სრულიად ახალი წესები დანერგა სისხლის სამართალწარმოებაში. ჩვენმა კოდექსმა თითქმის სრულად გაიზიარა საერთო სამართლის სისტემის წმინდა შეჯიბრებითი მოდელი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლე ნეიტრალურ მსაჯულად გვევლინება და შედარებით პასიური სუბიექტია.

ახალმა სისხლის სამართალი საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებად მიიჩნია და მისი დაწყება და განხორციელება დაავალა მხოლოდ სახელმწიფოს სპეციალურ წარმომადგენელს - პროკურორს (სსსკ-ის 166-ე მუხლი). პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება დისკრეციული უფლებამოსილებაა.

„დისკრეციული“ [ფრანგ. Discretion-naire] ნიშნავს პირადი შეხედულებისამებრ მოქმედს.⁹ სისხლისსამართლებრივი დევნა არის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული, სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა.¹⁰

სისხლისსამართლებრივი დევნის არსის გაგებისაკენ მიმავალი გზა საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. მის შესახებ არაერთგვაროვანი წარმოდგენები ყალიბდებოდა და გარკვეულწილად ეს დღესწაც ასეა. იურიდიულო ლიტერატურაში დღესაც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი შემადგენელი ელემენტებისა და საპროცესო მოქმედებების, დევნის დამწყები სუბიექტების, ასევე-მისი დაწყებისა და დამთავრების შესახებ. მეცნიერ-იურისტთა ნაწილი სისხლისსამართლებრივ დევნას ბრალდებასთან ან/და გამოძიებასთან აიგივებს, ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ იგი მხოლოდ ე.წ. წინასასამართლო

⁹ ჭაბაშვილი, მ. (1973). უცხო სიტყვათა ლექსიკონი . თბილისი: "განათლება". გვ. 110

¹⁰ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი" გვ.57

ეტაპზე ხორციელდება და მას ადგილი არ აქვს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს.¹¹

აღნიშნული არაერთგვაროვანი მოსაზრებათა გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, იზადება კითხვა-მაინც რას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა? მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობა მის არსს არ განმარტავს.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაკავშირებულია ისეთ თემებთან, როგორცაა სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ეს არის სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმა ინდივიდთან, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ ნიშნავს ძალადობას, მის თვითმიზანს არ წამოადგენს პირზე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა ან უფლებათა შეზღუდვა, ეს ინსტიტუტი მოწოდებულია, დაიცვას საზოგადოება იმ იარყოფითი შედეგისაგან, რომელიც დანაშაულს მოაქვს.

სისხლისსამართლებრივი დევნა ჩამოყალიბდა სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებას, გამოავლინოს დანაშაულის ჩამდენი პირი და დააკისროს მას შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს სწორედ ამ უფლებას შეიძლება ეწოდოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით განახორციელეს სისხლისსამართლებრივი აკრძალვა. ეს სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებაა. სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაციისას სახელმწიფო, როგორც სამართალურთიერთობის მონაწილე, ასრულებს თავის ვალდებულებას სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.¹²

პროკურორის საქმიანობასთან მიმართებაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას საკმაოდ სრულად განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომში ე.დ. ბოლტოშევი. მისი აზრით სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, რომელსაც ახორციელებს პროკურორი სასამართლომდე სტადიაზე, წარმოადგენს სისხლის საპროცესო კანონით რეგულირებად საქმიანობას, მიმართულს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, გამოძიების ორგანოების მიერ საკმარისი მტკიცებულებების შეგროვებაზე, რომელიც გამოააშკარავებს ბრალდებულის სახით მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე, მათ შორის, აღკვეთის ღონისძიებების

¹¹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი(კერძო ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017,გვ 61.

¹² იქვე:გვ.62.

გამოყენებაზე, სხვა ღონისძიებების გატარებაზე, რათა აღკვეთილი იქნას გამოძიების ნორმალურ მსვლელობაზე ნეგატიური გავლენა იმისათვის, რომ საქმეზე დამთავრდეს გამოძიება და საქმე წარიმართოს სასამართლოში.¹³

შესაძლებელია, ზემოთ აღნიშნული სისხლისსამართლებრივი დევნის ამგავრი ფორმულირება შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, თუმცა მთლიანობაში ისინი მიმართულია დამნაშავე პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისკენ.

იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის შესახებ ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნად პროკურორის საქმიანობა, რომელსაც ის ახორციელებს საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე. ნაწილი მათგანი ეთანხმება იმ შეხედულებას, რომ ბრალდების მხარის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე სისხლისსამართლებრივ დევნად არ ითვლება.

პროფესორი გივი აბაშიძე აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ, რომელიც, როგორც შემდგომ დადგინდება, არ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, რა თქმა უნდა, შეიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის ელემენტებს და ბრალდებულის გამოჩენამდე მის მიმართ ჩატარებული დევნის საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ დევნად. ამენად, ეს განმარტება გვაფიქრებინებს, რომ სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, ბრალდებულის გამოჩენამდე, ასე ვთქვათ, „სავარაუდო ბრალდებულის“ მიმართ განხორციელებული მოქმედებანიც შესაძლოა მოვიაზროთ სისხლისსამართლებრივ დევნად.

მეცნიერებაში დგას საკითხი, თუ რომელი საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედება ატარებს სისხლისსამართლებრივი დევნის ხასიათს გამოძიების სტადიაზე. არსებობს მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისაკენ საგამოძიებო მოქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება პირის დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.¹⁴

სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მას შემდეგ, როცა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უკვე გამოიკვეთება გამოსაძიებელი დანაშაულებრივი ფაქტის ჩამდენი, ან მასში მონაწილე კონკრეტული პირი და, როცა მის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის

¹³ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი" გვ. 61

¹⁴ იქვე: გვ. 70

აღსანიშნავია, რომ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ოთხი სისტემა:

ა) სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს დაზარალებული ან მისი მემკვიდრეები (კერძო ბრალდება);

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნას აწარმოებს საზოგადოების სახელით ნებისმიერი მოქალაქე (სახალხო ბრალდება);

გ) სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს თავად მოსამართლე (ოფიციალური ბრალდება);

დ) სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს “კვალიფიციური

ფუნქციონერების” – პროკურორების მეშვეობით (საჯარო ბრალდება) ¹⁵

ჩამოთვლილი სისტემები სხვადასხვა კანონმდებლობას ეხება, ვინაიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულად განსაზღვრავს ბრალდების წაყენებასა და სისხლისსამართლებრივი ფუნქციის დაკისრებას. ზოგ კანონმდებლობას აქცენტი გადააქვს მოქალაქეებზე (ან დაზარალებულზე), სხვებს სახელმწიფოზე, მაგრამ უმეტესობა ცნობს ოთხიდან ორ ან სამ სისტემას. ¹⁶

აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ვინაიდან უახლოეს წარსულში ეს არც ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის იყო უცხო, თუმცა დღეისათვის საქართველოში უპირატესობა სისხლისსამართლებრივი დევნის მეოთხე სისტემას ენიჭება.

ამ საკითხის განხილვისას საკმაოდ საინტერესოა ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ კი 1998 წლის 20 თებერვქალს ამოქმედებული საპროცესო კოდექსი რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის სახეებს განსხვავებულად განსაზღვრავდა, კერძოდ კი, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონით, არსებობდა დევნის ოთხი სახე-საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა.

საჯარო დევნა, 1998 წლის კოდექსით, ხორციელდებოდა ყველა კატეგორიის დანაშაულზე, პროკურორისა და გამომძიებლის მიერ. ისინი ვალდებულნი

¹⁵ პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, ნაწილი II, თარგმნა: სუმბათაშვილი ე., სამეცნიერო რედ.: ნინიძე თ., 1999, 352-353

¹⁶ პრადელი ჟან, იქვე.

იყვნენ, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ყველა შემთხვევაში დაეწყოთ გამოძიება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეტყობინება ვისგან იყო მიღებული.

სუბსიდიური დევნა გათვალისწინებული იყო სსსკ-ის 23-ე მუხლით და მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.¹⁷ სიტყვა „სუბსიდიური“ ლათინური წარმოშობისაა და ქართულად დამხმარეს, დამატებით ნიშნავს, რაც კანონმდებელმა დაზარალებულს მიუსადაგა და გულისხმობს დაზარალებულის, მისი წარმომადგენლის უფლებას, მხარი დაუჭიროს პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას.

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ერთმანეთში შეზავებული იყო საჯარო და კერძო ინტერესები.

კერძო ინტერესი იკვეთებოდა იმაში, რომ დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და არ წყდებოდა ბრალდებულთან დაზარალებულის შეთანხმებით, ხოლო დევნის საჯარო ხასიათი ვლინდებოდა პროკურორის უფლებაში, დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა მაშინაც კი, როდესაც არ არსებობდა დაზარალებულის საჩივარი.¹⁸

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა კი გამოირჩეოდა დაზარალებულის აქტიური როლით - ამ შემთხვევაში დევნის დაწყებაცა და შეწყვეტაც დაზარალებულის ნების გამოვლენაზე იყო დამოკიდებული.

ამკარაა, რომ ახალმა კანონმდებლობამ დაზარალებულის როლი მნიშვნელოვნად დააკნინა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია მთლიანად სახელმწიფოს გამგეობაში გადაიტანა. ახალი საპროცესო კოდექსის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო, რაც რეგულირებულია სავალდებულო მითითებებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების მიხედვით პროკურორი სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად, ერთპიროვნულად ახორციელებს სახელმწიფოებრივ ფუნქციას, ხოლო დაზარალებულის უფლებანი დასულია მოწმის უფლებრივ დონეზე - მისი

¹⁷ სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგშელიძე რ., თბილისი, 2009, გვ. 49.

¹⁸ იხ. იქვე 50.

საჩივარი და განცხადება არ წარმოადგენს ვალდებულებას პროკურორისათვის, რაც, ხშირ შემთხვევებში, ხდება ზემდგომ პროკურორთან და სასამართლოში საჩივართა სიმრავლის მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას გააჩნია თავისი შემადგენელი კომპონენტები, ესენია:

1. ფიზიკური დევნა, რომელშიც იგულისხმება ბრალდებულის დაკავება და საპროცესო გაფორმება;

2. სისხლისსამართლებრივი ბრალდება, რომელიც შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

ა) ბრალდება წინასასამართლო გამოძიების სტადიაზე;

ბ) სასამართლოში ბრალდებისათვის მხარდაჭერა.

3. სხვა საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებითაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმოებული საპროცესო საქმიანობა, რომელშიც მოიაზრება საჯარო ინტერესის დაცვის, დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისა და დასჯის მიზნით, ფაქტობრივი მონაცემების (ფაქტებისა და მტკიცებულებების) შეფასების შემდეგ, ბრალდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების, მათ შორის, საბრალეზო საქმიანობის განცოცხლება, როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას.¹⁹

¹⁹ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

2.2 სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა

ქართული კანონმდებლობა, ერთი შეხედვით, მკაფიოდ განსაზღვრავს პროკურორის სტატუსს და მას ექსკლუზიურად ანიჭებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურატურა კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად კი, სხვა სამართლებრივ ბერკეტებთან ერთად, ის აღჭურვილია გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით.²⁰

პროკურორი საგამოძიებო ეტაპზე საკმაოდ აქტიურ სუბიექტად გვევლინება და საპროცესო კოდექსის თანახმად, გამოძიებაში საწყისი ეტაპიდანვე ერთვება. გამოძიებისას პროკურორის ჩართულობა გამოიხატება გამომძიებლისთვის სავალდებულო მითითებების მიცემაში; საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კონკრეტული გამომძიებლისთვის დავალებაში ან პირიქით, გამომძიებლისთვის საქმის ჩამორთმევაში.

პროკურორს ასევე უფლება აქვს, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა გამოძიებაში ან სრულად აიღოს აღნიშნული ფუნქცია საკუთარ თავზე და ისარგებლოს გამომძიებლის სტატუსით; კანონმდებლობა მას ანიჭებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას, გაეცნოს საქმის ცალკეულ მასალებს ან მთლიანად საქმეს; კონკრეტულ შემთხვევებში კი შეწყვიტოს გამოძიება. საპროცესო კოდექსი, აგრეთვე, ადგენს პროკურორის სავალდებულო მონაწილეობას ცალკეულ საგამოძიებო ღონისძიებებსა და საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს ისეთ საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაზე ნებართვის მიღების მიზნით რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთი ღონისძიებების ჩამონათვალი კი საკმაოდ ფართოა და ის მოიცავს, მაგალითად, ჩხრეკას, ამოღებას, ფარულ საგამოძიებო ღონისძიებებს, მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვას და სხვა. პროკურორისგან განსხვავებით, გამომძიებელს არ აქვს მსგავსი ტიპის საგამოძიებო ღონისძიებებზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. თუკი გავითვალისწინებთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი საგამოძიებო

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

მოქმედებები საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნებისთვის, გამოდის, რომ გამომძიებელი მთლიანად დამოკიდებულია პროკურორზე, გამოძიების წარმართვისას. რაც შეეხება პრაქტიკაში მტკიცებულებების მოპოვებას, აღნიშნული პროცესი სხვადასხვა საგამომიებო უწყებაში განსხვავებულად მიმდინარეობს.

როგორც წესი, მტკიცებულებათა მოპოვების დაგეგმვის პროცესი ხორციელდება პროკურორის უშუალო ჩართულობით და მითითებებით, ისევე, როგორც ძირითადი საგამომიებო მოქმედებები. კერძოდ, გამოძიების პროცესს ხშირ შემთხვევაში სწორედ პროკურორი განსაზღვრავს, გამომძიებლის მოსაზრებების გათვალისწინებით. გამოძიებაში პროკურორის აქტიურ ჩართულობას ისიც განაპირობებს, რომ გამომძიებლები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან სრული პასუხისმგებლობის აღებას თავიანთ თავზე, რაც შესაძლოა, განპირობებული იყოს მათი კვალიფიკაციის პრობლემით.

აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოების კლასიკურ მექანიზმებით მოდელში პროკურორი მეტად შეზღუდული საგამომიებო უფლებამოსილებით სარგებლობს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა²¹ პროკურორს მხოლოდ გამონაკლისის სახით ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება, მაგალითად, ელექტრონული ზედამხედველობის, ფარული საგამომიებო მოქმედებების თაობაზე.

საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია, რომ პროკურორი მაქსიმალურად დისტანცირდება საგამომიებო სტადიიდან. საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, ინგლისისა და უელსის, ისევე როგორც აშშ-ის კანონმდებლობით, პროკურორი არ არის უფლებამოსილი, საგამომიებო ორგანოს მიუთითოს რომელიმე მოქმედების განხორციელებაზე ან უშუალოდ აწარმოოს გამოძიება. პროკურორი არ მონაწილეობს არც საგამომიებო სტრატეგიის განსაზღვრაში. ამ სისტემაში პროკურორს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, საგამომიებო ორგანოს მიმართვის საფუძველზე აქვს სამართლებრივი კონსულტაციის უფლებამოსილება. ამასთან, კონსულტაციის შედეგებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და, შესაბამისად, საგამომიებო ორგანოსთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის. ამ ქვეყნებში გამოძიების დაწყების დისკრეცია დამოუკიდებლად აქვს პოლიციას, რომელიც არ მიიჩნევა ბრალდების მხარედ და აქვს გამოძიების სრულად წარმართვის უფლებამოსილება.

²¹ საგამომიებო ეტაპზე, კონკრეტულ შემთხვევებში, პროკურორის ჩართულობას ფედერალურ დონეზე იცნობს აშშ-ის კანონმდებლობა

შესაბამისად, პასუხისმგებლობა ნებისმიერი საქმის გამოძიებაზე გადანაწილებულია არა გამომძიებელსა და პროკურორს შორის, არამედ უშუალოდ საგამომძიებო ორგანოს შიგნით – საქმის უშუალო გამომძიებელსა და მასზე შედარებით მაღალი სტატუსის მქონე გამომძიებელს შორის. საგამომძიებო ორგანო პროკურატურისგან დამოუკიდებლად არის უფლებამოსილი დაზარალებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესზე.²²

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას სისხლისსამართლებრივ დევნად არ მიიჩნევს და ეს მოსაზრება შეიძლება დასაბუთდეს იმითაც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე. ანუ კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტებს; პროკურორმა კი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს გამოძიების დაწყებისთანავე, მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი. თუმცა შესაძლებელია ასეთი პირი გამოკვეთილიც იყოს, ე.ი. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს კიდევ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა და სისხლისსამართლებრივი დევნა ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა: მაინც რა კრიტერიუმებით შეიძლება მათ შორის უფრო მკაფიო განსხვავების დადგენა?

განსხვავება სისხლისსამართლებრივ დევნასა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას შორის შეიძლება აიხსნას შემდეგნაირადაც: პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება გულისხმობს არა კონკრეტული ფაქტის ან გარემოების დადგენას ან ამ პროცესის უკეთ შესრულებაზე კონტროლის დაწესებას, არამედ იგი მიმართულია კონკრეტული პირის - ბრალდებულის წინააღმდეგ.

სხვაგვარად, რომ ითქვას, დევნის განხორციელებად ითვლება პროკურორის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილება ან ჩატარებული საპროცესო მოქმედება, რომელიც ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე შედეგობრივად აისახება. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში იგულისხმება, ბრალდების შეცვლა, ქონებაზე ყადაღის დადება, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, პროკურორის მოქმედებები, რათა ბრალდებულს შეეფარდოს, შეეცვალოს ან მის მიმართ საერთოდ გაუქმდეს აღკვეთის ღონისძიება და ა.შ.

²² Harris, D. (2012). The Interaction and Relationship Between Prosecutors and Police Officers in the United States, and how this Affects Police Reform Efforts. Luna, E., Wade, M. and Bojańczyk, A. The Prosecutor in Transnational Perspective. New York, Oxford University Press: 54-66, pp.57.

რაც შეეხება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, იგი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს - რაც შეიძლება კარგად, ამომწურავად, საპროცესო ნორმების ზედმიწევნით დაცვით მოახდინოს ბრალდების მხარემ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება (ფაქტობრივი გარემოებების დადგენა). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის პროკურორის მიერ გამოძიების უკეთ ჩატარებაზე კონტროლის განხორციელება. პროკურორი ხომ პროცესის ის სუბიექტია, რომელიც თავის საქმიანობას გამომძიებლისაგან განსხვავებით არ ამთავრებს გამოძიების სტადიაზე.

პროკურორი სასამართლოს წინაშე აგრძელებს ბრალდებულის მხილებას დანაშაულის ჩადენაში და ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს პირის დამნაშავეობაში. ამიტომ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორს ესაჭიროება იმისათვის, რომ გამოძიების სტადიაზე შეიქმნას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების საფუძველი და საქმე წარიმართოს სასამართლოში, სადაც იგი გააგრძელებს სისხლისსამართლებრივი დევნას. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სრულდება მაშინ, როდესაც იგი საქმეს წარმართავს სასამართლოში ან შეწყვეტს გამოძიებას.

2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნა სახელმწიფო ბრალდების ფუნქციისაგან

სისხლისსამართლებრივ დევნასა და პროკურორის მიერ მის განხორციელებაზე ზემოთ უკვე ვისაუბრე, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ამ რთული თემის განხილვისას წამოიჭრება მრავალი პრობლემა და კითხვა, რომლებსაც პასუხი ვერ გაცემა მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის არსის განმარტებით.

სისხლისსამართლებრივ დევნასა და სახელმწიფო ბრალდებაზე პირველი, რაც გაგვახსენდება, არის ბრალდება, რომელსაც პროკურორი მხარს უჭერს მთელი სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში. ბრალდება გახლავთ მიზანი გამოძიებისა, რა დროსაც ხდება მტკიცებულებათა მოგროვება და საბოლოოდ სასამართლოში წარდგენა, რათა, თავდაპირველ დონეზე, იდენტიფიცირებული იყოს დანაშაულის ჩამდენი პირი, ხოლო შემდგომ-მხილებულ და დასჯილ იქნეს სასამართლოს მეშვეობით.

ბრალდება, ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, ეს ორი ტერმინი კი მნიშვნელობით ერთმანეთს ძალიან წააგავს.

საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, ტერმინ ბრალდებაში მოიაზრება საპროცესო საქმიანობა, რომელიც წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე მიმდინარეობს და უკავშირდება კონკრეტული პირისათვის ბრალდების წარდგენას. ამ ტერმინში ასევე მოიაზრება ბრალმდებლის საპროცესო საქმიანობა სასამართლოში. ამისდა გათვალისწინებით, იურიდიულ მეცნიერებაში ბრალდება მიიჩნევა საპროცესო საქმიანობის ერთ-ერთ სახედ, საპროცესო ფუნქციად.

ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობის საკითხზე მსჯელობისას შესაძლოა გამოიყოს ორი მოსაზრება, პირველის მიხედვით, ბრალდება განიმარტება უფრო ფართო გაგებით, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად წარმოებული საბრალდებო საქმიანობა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის იდენტურად უნდა გავიგოთ. ამასთან ერთად, სისხლისსამართლებრივი დევნა, ამ მოსაზრების მიმდევართა თანახმად, არის ბრალდების ფუნქციის რეალიზაციის ფორმა.

მოწინააღმდეგე პოზიციის მიმდევარნი სისხლისსამართლებრივ დევნას ბრალდებაზე ფართო ცნებად მიიჩნევენ. დევნის დროს შესაძლოა ჩატარდეს სხვადასხვა საპროცესო მოქმედება. დევნა მიმდინარეობს მაშინაც, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი გამოვლენილი არაა. რაც შეეხება ბრალდებას, იგი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი მონაცემები იმის შესახებ, რომ დანაშაული კონკრეტული პირის მიერაა ჩადენილი.²³ შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი ბრალდება დაკავშირებულია ბრალდებულის გამოჩენასთან სისხლის სამართლის პროცესში, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართო ცნებაა და მასში მოიაზრება ბრალდებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც მხოლოდ საბრალდებო საქმიანობა, ვნაიდან იგი დაკავშირებულია მთელ რიგ საპროცესო მოქმედებებთან, რომელთაც პროკურორი ახორციელებს. უფრო კონკრეტულად კი, სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსობრივი გაგება გულისმობს:

- ა) დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებას;
- ბ) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას;

²³ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ.65.

გ)სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნას.²⁴

ბრალდების ზოგადი ცნებისგან განსხვავდება და უფრო ვიწროდ გაიგება ბრალდების მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს პროკურორის მიერ სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდების მხარის დაჭერას და მისი დამტკიცებას.

სისხლისსამართლებრივი დევნაც, ისევე, როგორც ბრალდების მხარდაჭერა, მიმდინარეობს გამოძიების დასრულების შემდგომ, ანუ სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგაც, ვინაიდან პროკურორი აგრძელებს ბრალდების მხარდაჭერასა და იმ მტკიცებულებათა წარდგენას, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მოიპოვა. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივი დევნა სრულდება გამოძიების სტადიაზე და მას ადგილი აღარ აქვს სასამართლო პროცესის დროს.

ზემოაღნიშნული მოსაზრება გულისხმობს მტკიცებას, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა აღარ ითვლება სისხლისსამართლებრივ დევნად, რადგან იგი სრულდება გამოძიების ეტაპზე, მიზნად ისახავს დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებასა და მის სასამართლოსათვის გადაცემას. აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან ეს პოზიცია არ შეესაბამება იმ მიზანს, რომელიც გააჩნია სისხლისსამართლებრივ დევნას,კერძოდ კი ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნას, სამართლიანობის აღდგენას.ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნა არ გულისხმობს მხოლოდ დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირის მხილებასა და ბრალდებას, არამედ მის დასჯასაც.²⁵ რაც, რაღა თქმა უნდა, მიიღწევა მხოლოდ საქმის განხილვაში პროკურორის მონაწილეობითა და სახელმწიფო ბრალდების აქტიური მხარდაჭერით.

გამოძიების ეტაპზე პირის ბრალდებულად ცნობა პროკურორის სუბიექტური დამოკიდებულებაა და ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა არ ნიშნავს იმ სამართლებრივი შედეგის დადგომას, რაც პროკურორს სურს. მოსამართლე, თუ კი სახელმწიფო ბრალმდებელი არ დაარწმუნებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით,პირს სასჯელს ვერ შეუფარდება,

²⁴ ბელთაძე ვ., სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. N2(37)'13, 140-146

²⁵ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამოძიებისსტადიაზე),გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015,გვ.159

ამდენად, ბრალდებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას საერთო მიზანი გააჩნიათ-პირისათვის სათანადო სასჯელის უზრუნველყოფა.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება სასამართლო პროცესის დროს და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა ერთმანეთს ფარავენ და შეგვიძლია ერთიანადაც აღვიქვათ.

სისხლისსამართლებრივი დევნაში მოიაზრება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაც. გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში პროკურორის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა თანმიმდევრობა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც მიმართულია საბოლოო მიზნის – დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯისკენ. და პირიქით, თუ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს პროკურორი მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია, შეცვალოს ბრალდება ან უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, იგი უფლებამოსილია აღნიშნული განხორციელოს ზემდგომი პროკურორის თანხმობით (მოქმედი სსსკ-ის მუხ. 250-ე).

გარდა ამისა, მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება დაისვას შემდეგი შინაარსის კითხვაც: გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დროს პროკურორი სხვადასხვა საპროცესო მდგომარეობაშია და როგორ არის პროკურორის ეს ორი ფუნქცია ერთმანეთის იდენტური? ან, თუ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას წარმოადგენს, მაშინ რა საჭიროა ამ ორივე ტერმინის საკანონმდებლო აქტებში (სსსკ-ში და „პროკურატურის შესახებ“ კანონში) გათვალისწინება?²⁶

ბრალდების მხარდაჭერა არსებითად განსხვავდება სისხლისსამართლებრივი დევნისაგან პროკურორის საპროცესო მდგომარეობის კუთხით-გამოძიების ეტაპზე პროკურორი საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი, ხოლო სასამართლო განხილვის ეტაპზე მისი არსებითი საქმიანობაა უკვე მოპოვებული მტკიცებულებების წარდგენა და იმის მცდელობა, რომ მოსამართლე დაარწმუნოს საკუთარი პოზიციის სისწორეში, ამდენად, მას არ აქვს შესაძლებლობა, იმოქმედოს აღნიშნულ პროცესზე, განსხვავებით

²⁶ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამოძიებისსტადიაზე),გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015,გვ 160.

სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესისა, სადაც პროკურორი მთავარ, ცენტრალურ ფიგურად გვევლინება.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, გამოირჩევა სპეციფიკით და კანონმდებლობაში მისი ცალკე მოხსენიება მისაღებიც კია, რათა გამოკვეთილ იქნეს პროკურორის ფუნქცია-მოვალეობანი ბრალდების მხარდაჭერის დროს, თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ბრალდების მხარდაჭერა (განსხვავებით, ზოგადად, ბრალდების ცნებისაგან) სისხლისსამართლებრივი დევნისაგან გამოცალკევებული ცნებაა.

სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ამგვარი ურთიერთქმედება კარგად ჩანს მოქმედი კანონმდებლობიდან. კერძოდ, სსსკ-ის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ რომ „როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს“.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას მის მიმართ. მოსამართლე უფლებამოსილია ამ პირის მიმართ გამოიყენოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.“ ასევე, სსსკ-ის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „...ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.“

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან მოყვანილი ზემოაღნიშნული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოშიც მიმდინარეობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ვინ ახორციელებს მას თუ არა პროკურორი სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სახით?! სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია სასამართლოში ტრანსფორმირდება ბრალდების ფუნქციაში და პროკურორი, როგორც მხარე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით აგრძელებს ამ ფუნქციას.

ამრიგად, აღნიშნულ თავში განხილულ იქნა პროკურორის როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის უფლებამოსილებანი და როლი როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დროს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების საფუძველზე დასაბუთდა პოზიცია იმის შესახებ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნაში არ მოიაზრება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, არამედ იგი არის დევნის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალება, ასევე, განხილულ იქნა ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა და გამოითქვა მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდება გარკვეულ ეტაპზე ერთიანია, ხოლო დევნა უფრო ფართო ცნებად შეგვიძლია მოვიაზროთ.

თავი III. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება

3.1. დისკრეციის ცნება

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შესულმა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ბევრი ნოვაცია შემოიტანა, მათ შორის დისკრეციის პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლითა და „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილით.

დისკრეციული უფლებამოსილება წარმოიშობა იქ, სადაც ვერც ხდება კანონის მიერ სტანდარტების ზუსტად განსაზღვრა და შესაბამისად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ რჩება მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს საკუთარი დისკრეციის გამოყენების საშუალება.²⁷

სიტყვა „დისკრეცია“ ლათინურიდან წარმოიშვა და ნიშნავს საკუთარი შეხედულებისამებრ თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.²⁸

დისკრეციული უფლებამოსილების ინსტიტუტი საერთო სამართლის ქვეყნებში ჩამოყალიბდა, შემდგომ კი კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც გავრცელდა. ამ პრინციპის „მშობელ“ ქვეყნებში იგი გაცილებთ ფართო და ძლიერია, ვიდრე კონტინენტური სამართლის სისტემებში, ამდენად, საერთო სამართლის ქვეყნებში დისკრეცია თითქმის შეუზღუდავია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის აღნიშნული ტერმინი უცხო იყო, თუმცა თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ პუნქტით, იყო და დღესაც არის მოცემული დისკრეციული უფლებამოსილების ცნება. მითითებული მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის

²⁷ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამომიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ 166

²⁸ იქვე: გვ. 167

შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.²⁹ ამდენად, დისკრეცია არ გულისხმობს სრულ თავისუფლებას, არამედ მასში მოიაზრება საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეირჩეს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

დისკრეციის პრინციპს საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა დიდი ხანია, რაც იცნობს. შესაბამისად, არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია, რომელიც ეხება პროკურორის დამოუკიდებლობას ბრალდების მოცულობასა და ბრალდების ბედზე. პირველი კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვის უფროა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მხარი დაუჭიროს მას სასამართლოში

მეორე - საერთო სამართლოს ოჯახში შემავალი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და სწორედ ის განსაზღვრავს, საკუთარი შეხედულების საფუძველზე დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, თუ უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) მოცულობას განსაზღვრავს პროკურორი და აქ ამ დროს სასამართლო კონტროლი არ ხორციელდება.³⁰ თუმცა, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ამ ორ პრინციპს შორის მკაფიო კონტრასტის მიუხედავად, პრაქტიკაში მათ შორის განსხვავება თანდათან იშლება. კერძოდ, ბრიტანეთში, სადაც დისკრეცია ფაქტიურად ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლის სამართლის დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონიერების პრინციპს აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში. ექსპერტების გათვლით, დღესდღეობით ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და ამავე დროს, სასჯელის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დევნის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის, უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმებს, იზრდება

²⁹ მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, გვ 18-19.

³⁰ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი გვ. 83-84

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც, მეტ-ნაკლები მასშტაბით, კანონმდებლობებშიც აისახება. შედარებით ფართოა ეს უფლებამოსილებები ნიდერლანდებსა და საფრანგეთში, ხოლო ნაკლებია გერმანიასა და იტალიაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებითაა. ამავე კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით შემდეგ თავებში იქნება მსჯელობა.

საყურადღებოა, რომ პროკურორს 2011 წლიდან კანონით მიენიჭა უფლება, დისკრეციის ფარგლებში გამოიყენოს დევნის ალტერნატიული ფორმა - განრიდება - არასრულწლოვანთა განრიდება ან/და განრიდება /მედიაცია და სრულწლოვანთა განრიდება. (სსსკ-ის 168¹ მუხლი). აღნიშნული სიახლე ნამდვილად მისასალმებელია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს ნამდვილად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჰქონდეს ალტერნატივა ორ უკიდურესობას შორის-სისხლისსამართლებრივი დაწყება-შეწყვეტის ნაცვლად, იგი განარიდება დანაშაულის ჩამდენ პირს(კანონით დადგენილი გარკვეული პირობების არსებობისას) და ამით, ერთი მხრივ, ბრალდებული მოსცილდება მკაცრს სისხლის სამართლის პროცესს სასამართლოში და გადაურჩება ნასამართლეობის დამდას, მეორე მხრივ კი, ალტერნატიული მართლმსაჯულების საშუალებით განიტვირთება სასამართლო სისტემა.

საინტერესოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ განრიდების პროგრამა მართლაც ეფექტურად დაინერგა ჩვენ ქვეყანაში - 2016 წლისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა 879 პირის მიმართ იყო დაწყებული, აქედან 322-ის მიმართ კი (27%) გამოყენებულ იქნა განრიდება, 2017 წლისთვის ეს მონაცემები კიდევ უფრო გაიზარდა და 750 პირიდან განრიდებულ იქნა 435 (37%).³¹

³¹ იხილეთ, საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წლის 06 თებერვალი. <http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf> 06.07.2019, 20:00

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანებით არის დადგენილი. აღნიშნული დოკუმენტი აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისად, ზემოთ ხსენებული ბრძანება გარკვეულწილად ზღუდავს პროკურორის დისკრეციას და უწესებს ჩარჩოებს.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე ხსენებული ბრძანების მესამე თავში მითითებულია:

დევნა შეიძლება დაიწყოს:

ა) თუ სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება;

ბ) შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ დოკუმენტში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ერთ-ერთ საფუძვლად იმაზე მითითება, რომ სახეზე უნდა იყოს დანაშაულებრივი ქმედება სრულიად ზედმეტია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე საფუძველი - „ბ“ ქვეპუნქტი მოიცავს დანაშაულებრივი ქმედების არსებობასაც.³²

ზემოხსენებულ ბრძანებაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე საფუძველია მითითებული – შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ - ეს ნამდვილად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების

³² ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამომიებისსტადიაზე),გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015,გვ 176.

მნიშვნელოვან წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილება:

- ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება;
- დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა;
- უარი თქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი;
- უარი თქვას დევნის დაწყებაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე.³³

მართალია, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღება პროკურორის უფლებაა, მაგრამ ამ დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს უნდა მოხდეს დროულად. სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობამ ბრალდების მხარე შეიძლება მიიყვანოს არასასურველ შედეგამდე. კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის დროს, თუ პროკურორმა „მოითხოვა დამატებითი გამოძიების ჩატარება“ და არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, „დამატებითი გამოძიების“ შედეგები შესაძლებელია ბათილად იქნეს ცნობილი. ეს იმიტომ, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შემთხვევაში, შესაძლებელია დაუშვებლად იქნეს ცნობილი ბრალდების მხარის ის მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი (სსსკ-ის მუხ. 169-ე).³⁴

ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად დაწყებისა ან შეწყვეტის მნიშვნელობის მხრივ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მართალია, როგორც ბრალმდებელს, ასევე სასამართლოს საქმის წარმოებისათვის კანონით დადგენილი დროის მონაკვეთი გააჩნიათ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მათი მხრიდან არ მოხდეს დროის გაწელვა და პირის ბრალდებულის სტატუსით ზედმეტად დიდ ხანს გაჩერება.

³³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

³⁴ ზ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამოძიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ.176-178.

ამ საკითხზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის განმარტება გულისხმობს, რომ თუნდაც ბრალდებული პირი გონივრულ საფუძველზე იყოს დაკავებული სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, თუ, ნებისმიერი მიზეზით, სამართალწარმოება გრძელდება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.³⁵

პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მსჯელობისას ჩნდება კითხვა, თუ რა შემთხვევებში შეუძლია მას აღნიშნული უფლების გამოყენება, ვინაიდან პრაქტიკაში მრავალი განსხვავებული შემთხვევაა, რომლებიც ყოველთვის ვერ შეესაბამებიან ზუსტად კანონის დათქმებს და საჭიროებენ მოსამართლეთა განმარტებებს. კოდექსით გათვალისწინებულია ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც ეხმარება ბრალდებულს, ასცდეს სისხლის სამართლის პროცესს და გარკვეული საფუძვლების არსებობისას, დანაშაულზე პასუხი აგოს ნაკლებად მკაცრი საშუალებებით.

მაგალითად, რა ხდება, როდესაც პროკურორი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტს, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, განარიდოს ბრალდებული, ხოლო შემდეგ, გარკვეული ვითარებებიდან გამომდინარე, უკან წაიღებს გადაწყვეტილებას?

სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში, რომელიც გამოიცა 2017 წლის 4 მაისს, ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ საკითხზე.

საქმის გარემოებების მიხედვით, პროკურორმა, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ბრალდებულმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, მიიღო განრიდების პირობების გამოყენების გადაწყვეტილება. განრიდების პირობების თანახმად, განრიდების სუბიექტს უნდა გადაეხადა 1000 (ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 26 მარტი. ასევე, მას განემარტა, რომ თუ არ შესრულებდა განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება ჰქონდა მის მიმართ განეხლებინა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო განრიდება განხორციელებულად ჩაითვლებოდა იმ მომენტიდან, როცა განრიდების სუბიექტი შეასრულებდა შეთავაზებულ პირობას. აღნიშნულ პირობებს დაეთანხმა ბრალდებული და ხსენებული ოქმი დადასტურებული იქნა პროკურორის, ბრალდებულის და მისი ადვოკატის ხელმოწერით.

³⁵ Wemhoff v. Germany, 27/06/1968, N 2122/64 . <http://catalog.supremecourt.ge/blog/foto/212.pdf>.

განრიდების სუბიექტმა 2017 წლის 24 მარტს გადაიხადა განრიდების პირობით დადგენილი 1000 ლარი, 2017 წლის 28 მარტს კი პროკურორმა გამოიტანა დადგენილება განრიდების წარმოების პროცესის შეწყვეტის შესახებ და დაადგინა, რომ არ შეწყდეს განრიდების სუბიექტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა .

აღნიშნულ გადაწყვეტილებას პირველი ინსტანციის სასამართლო არ დაეთანხმა, ვინაიდან განრიდების პირობები შესრულდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ განრიდება შედგა. ასევე, სასამართლომ არ მიიღო სარწმუნოდ ბრალდების მხარის მითითება ბრალდებულის პიროვნებაზე და იმაზე, რომ მას შესაძლოა სხვა დანაშაულიც ჰქონდა ჩადენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პროკურორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, უთითებდა რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლის პირველი ნაწილიზე, რომლის განმარტებით დასტურდება ის გარემოება, რომ პროკურორს შეუძლია (და არაა ვალდებული) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ განსარიდებელი პირი შეასრულებს განრიდების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ განსარიდებელი პირის მიმართ გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის N181 ბრძანებით დამტკიცებული სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი მის მიმართ განრიდების გაფორმება ან თუ განსარიდებელი პირი განრიდების პირობების შესრულების დროს ან შემდეგ, მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტამდე ან დაწყებამდე ჩაიდენს დანაშაულს, რაც პროკურორის შეფასებით მიზანშეწონილს გახდის მის მიმართ განრიდების გაფორმებას, პროკურორს შეუძლია არ მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არ დაწყების შესახებ ბრალდებულის მიერ განრიდების პირობების შესრულების შემთხვევაშიც კი.

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ განრიდების სუბიექტის მიერ პირობის შესრულება, იმავდროულად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და ეს პროცესი აღარ არის დამოკიდებული პროკურორის დისკრეციაზე. პროკურორის დისკრეცია განრიდების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება, რა დროსაც პროკურორმა უნდა შეამოწმოს სწორედ პიროვნების წარსული და ხასიათი და სხვა გარემოებები და მათი გათვალისწინებით მიიღოს

გადაწყვეტილება თუ რამდენადაა მიზანშეწონილი განრიდების გამოყენება. ამ საკითხის გადაწყვეტაში სასამართლო არ ერევა. ხოლო, მას შემდეგ რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება განრიდების გამოყენებაზე და შედგება შეთავაზების ოქმი, სადაც განისაზღვრება, როგორც განრიდების პირობები ასევე მოსალოდნელი შედეგები, პროკურორს განრიდების პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ მანამ, სანამ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული განრიდების სუბიექტის მიერ განრიდების პირობა, ვინაიდან განრიდების პირობის შესრულებით განრიდება უკვე განხორციელებულია (რაც ასევე საქმეში წარმოდგენილ განრიდების შეთავაზების ოქმშიცაა დაფიქსირებული). მოცემულ შემთხვევაში კი განრიდების სუბიექტის მიერ განრიდების პირობა შესრულებულია, რის შემდეგაც პროკურორის მიერ უკვე განხორციელებულ განრიდებაზე უარის თქმას კანონი აღარ ითვალისწინებს.³⁶

შესაბამისად, ნათლად ჩანს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრები-რიგ შემთხვევებში, იგი ვერ იმოქმედებს სრული თავისუფლებით, ვინაიდან დისკრეციაზე გავლენას ახდენს პირველ რიგში, სამართლებრივი ჩარჩოები, სასამართლო კონტროლი, შემდგომ კი საზოგადოების დამოკიდებულება და საჯარო ინტერესი-პროკურორი საზოგადოების წარმომადგენელია და იგი ვალდებულია, გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესი ნებისმიერი საქმის წარმოების დროს.

3.2. სუბიექტივიზმის საფრთხე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციით. მაგრამ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებიც პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია ის, რომ პროკურორი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. გადაწყვეტილების მიღებისას მასზე არ უნდა მოახდინოს გავლენა სუბიექტურმა ფაქტორებმა.

³⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება №1გ/622-17. <http://library.court.ge/judgements/64602017-05-15.pdf?fbclid=IwAR34fsGqUdFJcjqAGs0C9HPYRG6qr4InJtWUelf9WcJoZPmVFvRt6q93OOg>. 06/28.2019. 17:34.

პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოს კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად მიზანშეწონილია დევნის დაწყება.

როგორც ზემოთ აღინიშნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, ანუ პროკურორის მიერ დევნის განხორციელება არ არის სავალდებულო ხასიათის და ეს სახელმწიფოს უფლებად რჩება, აღნიშნულს ერთის მხრივ სამართლებრივად არანაირი კავშირი არ აქვს დაზარალებულის შეხედულებაზე. დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის უარი დევნის დაწყებაზე გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,საკმაოდ აშკარაა ის ფაქტი, რომ ერთადერთი სუბიექტი, ვისაც სისხლისსამართლებრივ დევნაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს,არის პროკურორი, ამასთან ამ გადაწყვეტილებას იგი იღებს დამოუკიდებლად.შესაბამისად,დღევანდელი კანონმდებლობა საკმარისად უშვებს სისხლისსამართლებრივ პროცესში სუბიექტივიზმის საფრთხეს. დისკრეცია საგრძნობლად გადაწევს სამართლებრივ ბერკეტებს ერთ მხარეს და პროკურატურას საშუალებას მისცემს, იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებების მიხედვით, ეს კი სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებელი ნიშანი ნამდვილად არაა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის დისკრეციულობის პრინციპი ნოვაციაა, განსხვავებით ანგლო-ამერიკული სამართლისათვის, სადაც იგი წარმოიშვა და შესაბამისად, ამ ქვეყნებში დისკრეციასთან დაკავშირებით დიდი გამოცდილება მოიპოვება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შეუზღუდავი დისკრეციის გამო სუბიექტივიზმისაგან თავდაცვის მიზნით, აუცილებელია კანონმა განსაზღვროს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლები, რაც მას მნიშვნელოვნად შეზღუდავს ან მთლიანად გამორიცხავს. ამით ოფიციალური პირები ვერ შეძლებენ არაობიექტური სტანდარტების დამკვიდრებას სისხლის სამართალწარმოებაში. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, უმჯობესია კონტინენტური ევროპის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში

განმტკიცებული მიზანშეწონილობის პრინციპით ხელმძღვანელობა, რა დროსაც კანონით არის განსაზღვრული პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში რა კატეგორიის დანაშაულებზე რა სახის ღონისძიებები შეიძლება გამოიყენოს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.³⁷

პროკურორისათვის ფართო დისკრეციის მინიჭება, თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ეს საკანონმდებლო დათქმა ცუდია, თუმცა ჩვენი საპროცესო სამართლის პრობლემა ისაა, რომ არაა მოცემული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა გაურკვეველი გახდეს, როდის შეუძლია პროკურორს ამ უფლების გამოყენება.

თავისთავად, პრაქტიკაში პროკურორს დასჭირდება ფართო დისკრეცია, თუმცა არა ყოველთვის, ამიტომაც საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოები. თუმცა, მიზანშეწონილობის პრინციპის გამოყენებისა და კანონით დაწესებულ ფარგლებში მოქცეული დისკრეციის შემთხვევაშიც კი არის საფრთხე, რომ პროკურორი მოიქცეს სუბიექტურად და არ და იწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მაშინ, როდესაც ამის ყველა საფუძველი ექნება სახეზე, ამდენად, აუცილებელია იმგვარი კონტროლი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, პროკურორის გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს და ეს უკანასკნელი არ იყოს ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც ხელთ მონოპოლურად ეპყრება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება - არ დაწყების საკითხი.

ამგვარი კონტროლის ყველაზე ეფექტური გზაა პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. ქართული სამართლის პრობლემაც დისკრეციის კუთხით სწორედ იმაში მდგომარეობს რომ არ არსებობს დისკრეციის ფარგლებში პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

2014 წლის 24 ივლისამდე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში საერთოდ არ საჩივრდებოდა და ერთადერთი გზა ამ გადაწყვეტილების შეცვლისა იყო

³⁷ბელთაძე ვ., დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 16, თბილისი, 2011, 105-106

მისი გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან, (სსსკ-ის მუხ. 168-ე) ეს კი სრულიად უმოქმედო დათქმა გახლდათ, ვინაიდან პროკურორის ამგვარი გადაწყვეტილებანი ისედაც ყოველთვის შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, ამდენად, ამ უკანასკნელს ის გადაწყვეტილება მიუვიდოდა (და ეს დღესაც ასეა) საჩივრის სახით, რომელზე თანხმობაც თავად განაცხადა.

აღნიშნული ნორმა არა მხოლოდ ზღუდავდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, არამედ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, პროკურორს ხელს უწყობდა, მიეღო მიკერძოებული გადაწყვეტილება, იმ იმედით, რომ მის გადაწყვეტილებას სასამართლო წესით მაკონტროლებელი არ ჰყავდა.

2014 წლის 24 ივლისს მოქმედი საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც დაზარალებულს მიეცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება მაშინ, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, 2018 წლის 21 ივლისს სსსკ-ში შესული ცვლილებით კი, აგრეთვე დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა.

სხვა დანარჩენ შემთხვევებში - ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების ჩადენისას პროკურორის უარი პირის მიმართ დევნის დაწყებაზე დაექვემდებარა ისევ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებას. ასევე, ცვლილება შევიდა 106-ე მუხლის პირველ ნაწილში და დაზარალებულს უფლება მიეცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი შეწყვეტის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა.

აღნიშნული გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ არ მომხდარიყო დაზარალებულის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა და გაზრდილიყო კონტროლი პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, თუმცა გატარებული ცვლილებები საკმარისი არ აღმოჩნდა, ვინაიდან კანონის დათქმა ეხება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რომელიც თავისი მნიშვნელობით პროკურატურისთვის ისედაც პირველ ადგილას დგას, ამდენად რისკი, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული უყურადღებოდ იქნეს დატოვებული სახელმწიფო ბრალდების

მხრიდან, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში, ამდენად ზემოაღნიშნულ მუხლების დათქმები უმოქმედო გამოდის და საჭიროა, სასამართლოში გასაჩივრების უფლება მოიცავდეს ყველა სახის დანაშაულს.

ამ მოსაზრების მხარდასაჭერად შეიძლება მოვიშველიოთ სტატისტიკა, რომელიც ნათლად ასახავს ზემოხსენებულ პრობლემას: 2012 წლის მონაცემების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის 3 ფაქტზე, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის 24 ფაქტზე, ხოლო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის - 2 ფაქტზე³⁸ ამასთან, 2017 წლის მონაცემებით, სისხლისსამართლებრივი დევნა 26, ხოლო 2018 წელს 28 პირის მიმართ შეწყდა, ხოლო ამ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულთა უმრავლესობა სწორედ ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის გახლდათ, ესენია: ძალადობა-(126-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (120-ე მუხლი), ქურდობა(177-ე მუხლი), ნივთის დაზიანება(187-ე მუხლი) და სხვა.³⁹ შესაბამისად, ნათელია, რომ გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება მხოლოდ განსაკუთრებულ მძიმე დანაშაულებზე კანონის არაეფექტური დათქმაა.

ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც პროკურორი უნდა აიძულოს, რომ მიუკერძოებელი იყოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას. ამასთან, პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს შეუზღუდავი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა სარგებლობდეს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით ყველა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტისას. მისი მოქმედებები პირდაპირ არ უნდა იყოს გაწერილი კანონში. თუმცა როგორც ზემოთ აღნიშნა, უნდა არსებობდეს სასამართლო კონტროლი, რომელიც გამორიცხავს პროკურორის სუბიექტივიზმს.⁴⁰

³⁸ https://www.geostat.ge/media/16883/Report_06_2012.pdf .06.07.19. 19:00

³⁹ https://www.geostat.ge/media/16734/Report_aprili-2018.pdf 06.07.19. 19:30

⁴⁰ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამომიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ 192.

3.3. დაზარალებულის უფლებები სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით

იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას წყვეტს საჯარო ინტერესის გათვალისწინებით. ისმის ლეგიტიმური კითხვა: ხომ არ ილახება მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის ინტერესები, ვინაიდან მას აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ ერთჯერადად ზემოდგომ პროკურორთან. თუ ზემოდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება ან სასამართლომ გააუქმა განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

პროფესორი გივი აბაშიძე აღნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევებში სასურველი იქნებოდა დისკრეციული დევნის პირობებში უფრო მეტად გათვალისწინებულიყო დაზარალებულის ინტერესი. ამ მხრივ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დაცვა. თუ გავითვალისწინებთ იმ სამწუხარო რეალობას, რომ დაზარალებული უკვე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღარ წარმოადგენს მხარეს და იგი უფლებრივად გაუთანასწორდა მოწმეს, ძნელი არ იქნება შესაბამისი დასკვნის გაკეთება, რომ უფლებრივი დაცულობის საკითხი დაზარალებულს მნიშვნელოვნად შეუმცირდა. გარდა ამისა, სასამართლოსთვის მიმართვის არდაშვება პროცესის მონაწილეების მხრიდან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც უნდა აიძულოს პროკურატურა ჩაჯდეს კანონის მოთხოვნებში და მიუპერძობებელი იყოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას.⁴¹

დაზარალებულის მიერ გასაჩივრების პრობლემაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“

⁴¹ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი" გვ.100- 101

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი: №2/12/1229, 1242, 1247, 1299)

განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმებით დადგენილი წესი უკავშირდებოდა დაზარალებულად ცნობის შესახებ ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრებას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის სადავო მე-3 წინადადების შესაბამისად, პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ, მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების არსებობისას არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება კი აწესრიგებს პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმებისას პირის უფლებამოსილებას, გაასაჩივროს იგი ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევისა. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმები ზღუდავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რამდენადაც მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლოს გზით გაესაჩივრებინა უფლებაშემზღუდველი აქტი - პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილება უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მაშასადამე, სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიძლება შეიზღუდოს ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნებით“⁴²

თუმცა ნორმის ლეგიტიმურობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი საკმარისია უფლების შეზღუდვის გასამართლებლად.

როგორც აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრების ინტერესს განაპირობებს დაზარალებულის სტატუსის მოპოვება. ამ სტატუსის არქონის შემთხვევაში პირებს ერთმევათ ისეთი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, როგორცაა საქმის მასალების გაცნობისა და შესაბამისი საპროცესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, განრიდების, მედიაციის, საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში მონაწილეობის უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები. ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულ არასრულწლოვანთა

⁴² (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-69)

უფლებებიც. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი დაზარალებულები დამატებით სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით.

ამას გარდა, კანონმდებლობა დაზარალებულს საკმაოდ გამოსადეგ უფლებებს ანიჭებს-არასრულწლოვანი დაზარალებულის შემთხვევაში, სპეციალიზებული მოსამართლის მიერ საქმის განხილვას, ამასთან, განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლო ვალდებულია, არასრულწლოვან დაზარალებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობოს საქმის სასამართლოში განხილვის შედეგები და განუმარტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, დაზარალებულის სტატუსის მოპოვება საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს.

სასამართლო ადგენს, რომ ამგვარ პირობებში უფლების შეზღუდვამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს, რომელსაც არ გადაწონიოს სასამართლოს განტვირთვის ინტერესი და ამდენად, აუცილებელია, რომ დაზარალებულს ჰქონდეს საშუალება, მოიძიოს თავისი უფლებები სასამართლოში. სასამართლოს განმარტებით, ერთის მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოთა ყველა გადაწყვეტილება ვერ გახდება სასამართლო ხელისუფლების გასაკონტროლებელი, მაგრამ დაზარალებულის უფლების რეალიზაცია მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც არ უნდა მოექცეს მხოლოდ პროკურორის დისკრეციაში. ამგვარი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. დაზარალებულის სტატუსის მინიჭება/გაუქმება არ არის პროკურორის თავისუფალი მიხედულების ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. კანონით დადგენილი ობიექტური საფუძვლების, კრიტერიუმების არსებობისას პროკურორი ვალდებულია, პირი ცნოს დაზარალებულად ან არ გააუქმოს მისი დაზარალებულის სტატუსი. პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს პროკურორის გადაწყვეტილების სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობების სისწორეს და არ იჭრება მის დისკრეციულ უფლებამოსილებაში.⁴³

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება და ამავე მუხლის მე-6

⁴³ საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი: №2/12/1229, 1242, 1247, 1299)

ნაწილის მე-3 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და ძალადაკარგულად გამოაცხადა ზემოაღნიშნული ნორმები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს, ერთჯერადად გაასაჩივროს პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ზემდგომ პროკურორთან.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე შეიძლება ითქვას, რომ გამოძიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქმეზე სწორი კვალიფიკაციის მინიჭება, ამიტომ სასამართლოში გასაჩივრება სასჯელის სიმძიმეზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, ვინაიდან გამოძიების მიმდინარეობისას, შესაძლოა, ნებისმიერ დროს შეიცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია. დაზარალებულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოსამართლესთან სამართალი თავად ეძიოს. რა თქმა უნდა, კანონმდებლის პოზიცია სრულიად გასაგებია იმ ნაწილში, რომ სასამართლო კონტროლი ნამდვილად ეფექტური მექანიზმია, რათა პროკურორმა ბოროტად არ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება. ასეთი პრაქტიკა უცხო არ არის ევროპის ქვეყნებისთვისაც (მაგალითად, საფრანგეთი).⁴⁴

საერთო ჯამში, დაზარალებულმა არა მარტო უნდა შეიტყოს, რომ მართლმსაჯულება განხორციელდა, არამედ მან უნდა დაინახოს და დაიჯეროს მართლმსაჯულების განხორციელება. პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო ინტერესთან ერთად უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტული საქმის დაზარალებულის გონივრული ინტერესების გათვალისწინებით, რაც დღეს არსებულ პრაქტიკაში მკაფიოდ არის რეალიზებული.

3.4. სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრების განსაზღვრა

სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრება არის მნიშვნელოვანი სამართალწარმოების დასრულების მნიშვნელოვანი

⁴⁴ სისხლის სამართლის ფრანგული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, სასამართლოში (საგამომიებო პალატაში) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან დევნის შეწყვეტის შესახებ.

ეტაპი. საპროცესო კანონდებლობის თანახმად გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, შეწყვეტის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის გამოტანით. გამოძიების სტადიაზე მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრების და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტას შორის არსებით განსხვავებაზე იმ კონტექსტში, რომ სისხლის სამართლის წარმოება არ მთავრდება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებით, შეწყვეტით ან/და შეჩერებით, ხოლო გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეზე მთავრდება სამართალწარმოება, თუკი არ მოხდება ზემდგომი პროკურორის მიერ გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმება.

ანალოგიურად სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება მთავრდება განაჩენის გამოტანით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციებში ანუ წარმოება გრძელდება და შემდგომ შეიძლება გაჩერდეს. რაც შეეხება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლებს აღნიშნული ჩამოყალიბებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე და 167-ე მუხლებში, რომელზეც დეტალურად ზემოთ იქნა განხილული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცნიერებაში და პრაქტიკოს იურისტებში არსებობს მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვით საქმეზე მთავრდება გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა. გივი აბაშიძე აღნიშნავს, რომ: „გამოძიების სტადიაზე, გამოძიების დამთავრება მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრებასაც. ე.ი. პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ან/და დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის მიღებით და საქმის სასამართლოში წარმართვით, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება.“⁴⁵

მართალია, საქმის სასამართლოში წარმართვით საქმეზე მთავრდება გამოძიება, მაგრამ აღნიშნული საფუძვლით საქმეზე ვერ დამთავრდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან იგი გრძელდება. აღნიშნულის მტკიცების საფუძველს გვაძლევს შემდეგი: საქართველოს სსსკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა, მაგრამ იმავე კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირველი

⁴⁵ აბაშიძე, გ. (2012). პროკურორი გამოძიების სტადიაზე. თბილისი: "უნივერსალი". გვ.129

ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე, რაზეც სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სასამართლოში გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა თუკი პროკურორი არ იტყვის უარს ან/და მოსამართლე არ შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება მხოლოდ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში. საქმის სასამართლოში წარმართვით საქმეზე მთავრდება გამოძიება ხოლო საქმის არსებითი განხილვისას გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, სანამ სასამართლო საბოლოოდ არ გამოიტანს განაჩენს პირის დამნაშავედ ცნობის ან მისი გამართლების შესახებ.

თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები

4.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით

როგორც უკვე აღვნიშნე, მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა განმარტებული არაა, თუმცა განსაზღვრულია კონკრეტული სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია, დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა - ეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამასთან, ჩვენი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავების ან მისი ბრალდებულად ცნობისთანავე, თუ ის არ დაუკავებიან.

დაკავებასთან დაკავშირებულ ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, უფრო მეტად კი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა და სამეცნიერო ლიტერატურა.

დაკავება, ესაა თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მნიშვნელობა იმ კუთხითაა საყურადღებო, რომ პირს უფლებების შეზღუდვასთან ერთად ისინი ენიჭება კიდევ, ვინაიდან დაკავება ავტომატურად გულისხმობს პირის ბრალდებულად ცნობას, რაც მას მთელ რიგ უფლებებს ანიჭებს. თავის მხრივ, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია მას შემდეგ, რაც პირს შეეზღუდება თავისუფალი მიმოსვლის უფლება. საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი განმარტავს დაკავების საფუძვლებს:

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიძალეა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.

ამასთან, დაკავება შესაძლებელია სასამართლოს განჩინების გარეშეც, თუ კი სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობა.

ამ საკითხთან სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტის რაობა მჭირდო კავშირშია, ამიტომაც განვიხილოთ დაწვრილებით:

„პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ:

ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;

ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება

სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;

გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;

დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიციო;

ე) პირი შესაძლოა მიიმალოს;

ვ) პირი ძებნილია.“

იგივე მუხლი განმარტავს, რომ პირის განჩინების გარეშე დაკავება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებშია შესაძლებელი. ესენია: „დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.“

ამდენად, აღნიშნული მუხლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაკავების ორგვარი სახე არსებობს. პირველი გულისხმობს სასამართლოს განჩინების საფუძველით დაკავებას, მეორე კი განჩინების გარეშე, გადაუდებელ აუცილებლობაზე მითითებით. მეორე შემთხვევა პირდაპირ უკავშირდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას იმ სუბიექტების მიერ, რომლებსაც ამისდისკრეციული უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

განვიხილოთ დაკავების ორივე სახე:

1. დაკავება სასამართლოს განჩინებით

აღნიშნული მოიცავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ბრალდების მხარის მიერ, გამოძიების სტადიაზე უკვე შეგროვებულია მტკიცებულებანი, რომლებიც

კონკრეტული პირის წინააღმდეგ დანაშაულის სამხილად გამოიყენება და შემდეგ ეტაპზე გადასაწყვეტია დაკავების საკითხი. ამ შემთხვევაში პირის მიმართ ჯერ არ გამოყენებულა იძულების ღონისძიებანი და ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს უწევს, გადაწყვიტოს, დაკავებულ იქნეს თუ არა პირი და შეაბამისად, დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ.

აღნიშნული ლიტერატურასა და პრაქტიკაში სადაო საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უფლებამოსილი პირი მხოლოდ და მხოლოდ პროკურორია, სასამართლოსთვის ამ უფლების მინიჭებით კი გამოდის, რომ რაღაც დოზით მოსამართლეს ენიჭება ის დისკრეციული უფლებამოსილება, რაც კანონით პროკურორს გააჩნია. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც მოსამართლე არასარწმუნოდ მიიჩნევს პროკურორის მტკიცებულებებს და მის წარდგენილ შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ბრალდება? თავის მხრივ, უფრო სარწმუნო მტკიცებულებები მოაგროვოს და ახლიდან წარადგინოს შუამდგომლობა?

ამ შემთხვევაში საჭიროა გაიმიჯნოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი და დაკავება. სასამართლო ის ორგანოა, რომლის მთავარი მოვალეობა ადამიანთა უფლებების დაცვა და სამართლიანობის პოვნაა, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ არ არსებობს ის საფუძვლები, რომლებიც სსსკ-ის 171-ე მუხლშია ჩამოთვლილი და შესაბამისად, პირის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება არ დგას, სწორედაც რომ უარი უნდა თქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რათა არ დაირღვას პირის კონსტიტუციური უფლებამოსილება მხოლოდ იმის გამო, რომ მოსამართლე ერევა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების საკითხში. თავის მხრივ, პროკურორს, დაკავების გარეშე შეუძლია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის ბრალდებულად ცნობის სახით და შემდგომში უფრო მყარი მტკიცებულებებით მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდება.⁴⁶

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის შუამდგომლობები, დაკავებასთან დაკავშირებით, ძირითადად კმაყოფილდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არ ეთანხმება ბრალდების მხარეს.

⁴⁶ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამოძიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 83-85.

2014 წლის 13 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა კ.კ-ს დაკავების თაობაზე, რომელსაც ბრალი უნდა დასდებოდა მთვრალ მდგომარეობაში ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევაში, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილები).

როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავდა, დაკავების აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ კ.კ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ ადგილზე არ გაჩერდა, არ დაინტერესდა, თუ რა შედეგი გამოიწვია და სვლა განაგრძო. ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და არსებობდა საფრთხე, რომ პირი მიიმალებოდა და არ გამოცხადდებოდა სასამართლოში.⁴⁷ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმაზე მითითებით, რომ : კ.კ-ს შესაძლოა ბრალი დასდებოდა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის, ასევე იგი დაკითხული იყო მოწმის სახით და აღიარებდა დანაშაულს, ხოლო ის გარემოება, რომ იგი არ გაჩერდა შემთხვევის ადგილას და განაგრძო სვლა, გამოწვეული იყო მის ავტომანქანაში მჯდომი ძმის მდგომარეობით, რომელმაც ასევე მიიღო სხეულის დაზიანებები და სურდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა. საქმის მასალებში არ არსებობდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა ფაქტს, რომ კ.კ თავს არიდებდა გამოძიების ორგანოებში გამოცხადებას, ამდენად სასამართლომ დაადასტურა დაკავების აუცილებლობის არარსებობა და შესაბამისად, დაიცვა პირის კონსტიტუციური უფლება.

ამ შემთხვევაში ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოს მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა, ხოლო ბრალდების მხარეს სხვა ალტერნატიული საშუალებანიც აქვს, მაგალითად პირის ბრალდებულად ცნობა, რომლითაც შეძლებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. უდაოა ის, რომ სასამართლო კონტროლი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა გამოძიების სტადიაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის უფლებების დარღვევა.

2. დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას და ძირითადად მაშინაა სახეზე, როდესაც ხდება დანაშაულზე მყისიერი რეაგირება, წინასწარი გამოძიების გარეშე,

⁴⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 თებერვლის #1427-14 განჩინება.

როდესაც პოლიციის თანამშრომლები მოქმედებენ ოპერატიულ რეჟიმში, დანაშაულზე ინფორმაციის მიღებისთანავე (დაზარალებულის ყვირილი, სიგნალიზაციის ხმა, ჩამტვრეული მაღაზიის ვიტრინის დანახვა და ა.შ) და მაშინვე აკავებენ სავარაუდო დამნაშავეს. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ დაკავებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია და იგი სარგებლობს ბრალდებულის უფლება-მოვალეობებით, რაც რამდენიმე საკამათო საკითხს წარმოშობს.

პირველყოვლისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დაკავებული, თუ კი მას 48 საათის განმავლობაში არ გადაეცემა ბრალდების შესახებ დადგენილება, უნდა გათავისუფლდეს, შესაბამისად, მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არაა მოძიებული მტკიცებულებათა ის საკმარისი რაოდენობა, რაც საჭირო იქნებოდა ბრალდებისთვის. თუმცა, უფლებათა მხრივ, ბრალდებულის სტატუსის მინიჭება დაკავებული პირისთვის საჭიროა, ვინაიდან ამ სტატუსის გარეშე მას არ ექნება ის უფლებები, რაც ბრალდებულისთვისაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. საბოლოო ჯამში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით კითხვის ნიშნებს ბადებს, თუმცა, თუ კი კანონმდებლობაში „დაკავებულის“ სტატუსი განისაზღვრება, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს იგივე უფლებები, რაც ბრალდებულს გააჩნია.

სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავების ერთ-ერთი საყურადღებო ფაქტია ვადა, რა დროშიც დაკავებული უნდა წარედგინოს სასამართლოს-48 საათი. იმისდა გათვალისწინებით, რომ სხვა ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში დაკავებული სასამართლოს უნდა წარედგინოს „იმდენად სწრაფად, რამდენადაც შესაძლებელია“, ხოლო ჩვენი კანონმდებლობა გაცილებით დიდ დროს აძლევს ბრალდების მხარეს, ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დაელოდოს დაკავებული პირი 48 საათის განმავლობაში საკუთარი უფლების აღდგენას?

თუ კი კანონმდებლობა დააწესებდა უფრო ნაკლებ ვადას, მაგალითად 12 საათს, ან/და 6-ს, თუნდაც განისაზღვრებოდა, რომ პირის დაკავების კანონიერება შემოწმებულიყო არა პირველი წარდგენის სხდომაზე, არამედ დაუყოვნებლივ, მხოლოდ დაკავებასთან დაკავშირებულ სხდომაზე, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა დაკავებისათვის სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენა და ეს ფაქტი შემოწმდებოდა შემდეგში, მოსამართლის მეშვეობით, რაც თავის მხრივ, მოხსნიდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების

სასამართლოს მიერ ხელის შეშლის პრობლემას, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე.⁴⁸

მნიშვნელოვანია აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტის პრობლემა, როდესაც დაკავება ხდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით. ამ შემთხვევაში დამკავებელი სუბიექტი არა თუ არაა პროკურორი, არამედ მას ინფორმაციაც კი არ ექნება დაკავების ფაქტზე მანამ, სანამ ამის შემდეგ პოლიციის მუშაკები არ მიაწვდიან ინფორმაციას. შესაბამისად, გამოდის, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს ის პოლიციის მუშაკი, რომელიც ახდენს დანაშაულზე მყისიერ რეაგირებას. ეს კი არამართლობიერია და წინააღმდეგობაში მოდის საპროცესო ნორმებთან (იხ.166-ე,167-ე,172-ე მუხლები).

ამ შემთხვევაში აუცილებელია, დადგენილ იქნეს ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლები, თუ სად იწყება და სად მთავრდება იგი. თუ მას ფართო გაგებით განვსაზღვრავთ, ფიზიკური შეპყრობის მომენტიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნება და შესაბამისად, პოლიციის მუშაკიც შევლენ იმ სუბიექტთა სიაში, რომლებსაც სს დევნის დაწყების უფლებამოსილება გააჩნიათ, ან პროკურორი იქნება ვალდებული, პირადად მოახდინოს დაკავება და ოქმის შევსება, რაც პრაქტიკულად, შეუძლებელია.

4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებით.

პირის ბრალდებულად ცნობა სისხლისსამართლებრივი დევნის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელსაც სერიოზული სამართლებრივი შედეგებიც მოაქვს.

პირის ბრალდებულად ცნობის გზით სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო/თანამდებობის პირი ოფიციალურად ამტკიცებს კონკრეტული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ამ დროიდან ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, გაერკვეს მის მიმართ წაყენებული ბრალდების არსში(თუ რა დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი)

⁴⁸ მამნიაშვილი მ.,გაბისონია,საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი(ზოგადი ნაწილი),რედ.: გახოკიძე ჯ., ი.,თბილისი,2013 , 150.

და ამასთან ერთად, ენიჭება მთელი რიგი უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას.

მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ გადაწყვეტილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ განვითარებას ბრალდების ფორმულირების დროზე გაცილებით ადრე იწყებს.

კერძოდ, ასეთი გადაწყვეტილების მიღების ფორმირება იწყება საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მომენტიდან, გრძელდება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შერჩევით და მთავრდება ბრალდების ფორმულირებით. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით სისხლისსამართლებრივ დევნაში გამოყოფენ სამ ეტაპს:

ა) ფაქტობრივი გარემოებების დადგენა,

ბ) მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, კვალიფიკაცია და

გ) ბრალდების ფორმულირება შესაბამის საპროცესო აქტში.⁴⁹

აღნიშნული მოსაზრების საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ვერ იქნება კავშირში სისხლისსამართლებრივ დევნასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი გულისხმობს საქმისწარმოებას კონკრეტულ პირთან მიმართლებაში, ფაქტობრივი გარემოებანი კი შესაძლოა დადგინდეს ბრალდებულის ფიგურირების გარეშე და ეს გამომიებასთან კავშირს გულისხმობს და არა სისხლისსამართლებრივ დევნას.

ჯერ ხორციელდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, შემდეგ მათი შეფასება და სწორედ შეფასების შემდეგ ედება საფუძვლად ფაქტები სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაა.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პირი ითვლება ბრალდებულად ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემის მომენტიდან. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულ პირს კანონმდებელი ბრალდებულის უფლებებს ანიჭებს, ნებიერი შემთხვევაში სავალდებულოა დამატებით მისი ბრალდებულის სტატუსის პროცესუალური გაფორმება, რაც „ბრალდებულად ცნობის“ გზით უნდა მოხდეს. თუ დაკავებული პირი 48 საათის განმავლობაში შესაბამისი პროცედურების დაცვით ბრალდებულად არ იქნა ცნობილი, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

⁴⁹ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამომიებისსტადიაზე),გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015,გვ . 107.

სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. პირის ბრალდებულად ცნობა ხდება მისთვის ბრალის წაყენების გზით. თუ პროკურორი გადაწყვეტს პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, მუღებულ უნდა იქნეს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და დადგენილების მიღებიდან 24 საათში მას თავად ან გამომძიებლის მეშვეობით უნდა წაუყენოს ბრალი. ბრალი, როგორც წესი წაყენება უშუალოდ ბრალდებულს, რომელსაც გადაეცემა პროკურორის დადგენილება ბრალდების შესახებ თანდართული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით. თუ ბრალდებული სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დაესწროს ბრალის წაყენების პროცედურას.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ემალება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და თავს არიდებს საგამომძიებო ორგანოში გამოცხადებას. იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევებში გამოძიების პროცესს და მართლმსაჯულების განხორციელებას ხელი არ შეეშალოს, კანონი ითვალისწინებს ბრალის წაყენებას ბრალდებულის ადვოკატის მეშვეობით. ამ დროს ბრალდების მხარე სთავაზობს ბრალდებულს ან მის ახლო ნათესავს ადვოკატის აყვანას და განუსაზღვრავს ამისათვის გონივრულ ვადას. თუ აღნიშნულ ვადაში იგი არ აიყვანს ადვოკატს, მაშინ ბრალდებულს სავალდებულო წესით დაენიშნება ადვოკატი, რომელსაც შემდგომ პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი გააცნობს დადგენილებას ბრალდების შესახებ, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად.

კანონი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს ზოგიერთი თანამდებობის პირისათვის ბრალის წასაყენებლად. მაგალითად, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა, ხოლო საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობა.

ვინაიდან, ბრალდებულად ცნობის შემდეგ პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილებით პირს შეიძლება შეეზღუდოს ცალკეული კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობები და ამით მის ინტერესებს მიადგეს არსებითი ზიანი, კანონი ზუსტად განსაზღვრავს პირის ბრალდებულად ცნობის ვადებს, რომლის გასვლის შემდეგაც ან საქმე განხილვისათვის უნდა გადაეცეს სასამართლოს ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს პირის მიმართ. თუ პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაუშვებელია მომავალში მისთვის იმავე ბრალის წაყენება. სსსკ-ის 169-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. ახალი ბრალის წაყენებისას ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან.

პირის ბრალდებულად ცნობისათვის აუცილებელია საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ (მუხ. 169-ე, მე-2 ნაწ.). აღნიშნული დადგენილების გამოტანის შემდეგ პირი ითვლება ბრალდებულად ⁵⁰ და თუ იგი დაკავებული არ არის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ოფიციალურად სწორედ ამ მომენტიდან იღებს სათავეს (მუხ. 167-ე, 1-ლი ნაწ.). დადგენილება პირის ბრალდების შესახებ უნდა იყოს კატეგორიული ხასიათის და უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.

პირის ბრალდებულად ცნობა უადრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში, ვინაიდან ამ დროსვე იწყება პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის მიერ ბრალდების მხარდაჭერის განხორციელება, ამასთან, ბრალდება გამოკვეთავს დევნის მასშტაბებს და მას წარმოაჩენს უფრო ფართო კუთხით, ვინაიდან კანონმდებლობაში მოცემული ცალკეული მუხლების (167-ე, 169-ე მუხლები) ანალიზის საშუალებით დგინდება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლისსამართლებრივ ბრალდებაზე უფრო განვრცობილია და მას შესაძლოა ადგილი ბრალდების წაყენებამდეც ჰქონდეს.

⁵⁰ გაბისონია ი. სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციელების ზოგიერთი კონცეფტუალური საკითხი, ჟურნალი 'სამართალი', 1997, N7-8, 25-31.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება კიდევ უფრო „შორი მისადგომებიდან“ - პირის დაკავებიდან განსაზღვრა და დაკავებული მოაქცია ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პირის დაკავების ოქმი და დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის ბრალდების შესახებ დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თვალსაზრისით, თანაბარი მნიშვნელობის საპროცესო დოკუმენტებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.⁵¹

⁵¹ ი. ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 110.

თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნა საერთო და კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა საქართველოს 2010 წლის შემდგომ მრავალი სიახლე მოუტანა, თუმცა მიუხედავად თანამედროვე ინსტიტუციური ცვლილებებისა, ვერ მოხერხდა ყველა სისხლისსამართლებრივი პრობლემის გადაჭრა. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გააზრებასა და გათვალისწინებას, რადგანაც იქ სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი სისტემები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

სისხლისსამართლებრივი დევნის გარკვეული თვისებები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, ამ განსხვავებებს კი სამართლებრივი სისტემები განაპირობებს. საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, ამიტომაც საინტერესო იქნება განხილვა იმისა, თუ როგორია სისხლისსამართლებრივი წარმოება ამგვარად განსხვავებული სამართლის მქონე ქვეყნებში.

მსოფლიოში სისხლისსამართლებრივი დევნის განსხვავებული სისტემები არსებობს, რომელთაგან ძირითადად შეიძლება გამოიყოს ორი: საერთო სამართლის, იგივე ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის (რომანულ გერმანული) მოდელები.

საერთო სამართლის ქვეყნებს წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, სადაც სისხლის სამართლის პროცესი აგებულია ეგრეთ წოდებულ წინააღმდეგობრივ საწყისზე. ამ სისტემის მიხედვით, დავა მიმდინარეობს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის, მაშასადამე, წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე. ერთ მხარესაა ბრალდებული, მისი უფლებადამცველი, ხოლო მეორე მხარეს ბრალმდებელი, რომელიც წარმოადგენს და იცავს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

აღნიშნული ანგლო-ამერიკული სისხლისსამართლებრივი დევნის სახისათვის დამახასიათებელია მხარეთა თანასწორობა, რასაც შეჯიბრებითობა ეწოდება. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მხარეებს პროცესში თანაბარი უფლებამოსილებანი გააჩნიათ, მათ მიერ მოპოვებულ და წარდგენილ მტკიცებულებებს თანაბარი ძალა გააჩნია, ხოლო მოსამართლე

ნეიტრალურია. იგი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად განახორციელოს მოქმედებანი, მოიპოვოს ან დაავალოს მათი მოპოვება მხარეებს, საქმეზე დასკვნას მხოლოდ იმ მტკიცებულებათა მიხედვით აკეთებს, რომელთაც მხარეები წარმოადგენენ. ამდენად, საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები სრულიად ნეიტრალური სუბიექტია, მხარეები კი მაქსიმალურად აქტიურად ცდილობენ, დაარწმუნონ იგი საკუთარი პოზიციის სისწორეში.⁵²

სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მეორე მოდელი, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნე, კონტინენტური ევროპის მოდელი ეწოდება, დამკვიდრებულია რიგ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში და ასე შემდეგ. ამ სახელმწიფოებში წმინდა შეჯიბრებითი პროცესი არ არსებობს, ამიტომაც ხშირად მათ შერეული მოდელის ქვეყნებადაც მოიხსენიებენ. აღნიშნული მოდელისთვის დამახასიათებელია ინკვიზიციურობა წინასწარი გამოძიების ეტაპზე, რა დროსაც მოსამართლე, სამართალწარმოების სხვა მონაწილეებთან ერთად, ჩართულია მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში. ტრადიციულ ინკვიზიციურ მოდელში სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ნეიტრალურ სუბიექტს ევალება. გამოძიების მწარმოებელი პირის უფლებები, მოქმედებები, მოვალეობანი კი, ამ ქვეყნების კანონმდებლობებში ერთიან კოდიფიცირებულ აქტში-კოდექსშია გაწერილი, რაც განსხვავდება საერთო სამართლის ქვეყნებისაგან, სადაც წყაროდ სასამართლო პრეცედენტიცაა მიჩნეული.⁵³

საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნების გამოცდილების, მათი საუკეთესო კომპონენტების ჩვენს კანონმდებლობაზე მორგება სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, საკმაოდ დაეხმარებოდა სისხლის სამართლის საპროცესო დებულებებს სრულყოფაში, ამდენად, ქვემოთ მოკლედ განვიხილავ ამ სამართლის სისტემებს სისხლისსამართლებრივი დევნის ჭრილში.

⁵² James Q. Whitman ARTICLE: EQUALITY IN CRIMINAL LAW: THE TWO DIVERGENT WESTERN ROADS. The President & Fellows of Harvard College. The Journal of Legal Analysis Winter, 2009 1 J. of Legal Analysis 119

⁵³ ბ.მეურმიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ., 119.

5.1. სისხლისსამართლებრივი დევნა საერთო სამართლის ქვეყნებში

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამართლის მოდელები, რომელთა მიდგომებიც გაიზიარა ჩვენმა კანონმდებლობამ.

ამ მოდელის მქონე ქვეყნებში სისხლისსამართლებრივი დევნის საწყისი საკამათო საკითხია. ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის პროცესი ამ საკითხს კონკრეტულად არ წყვეტს. ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი მნიშვნელოვნად ზღუდავს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს და მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც საქმე გაივლის საპოლიციო გამოძიებას და მოხვდება პირველი ინსტანციის სასამართლოში.⁵⁴

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს სხვა პოზიციებიც. კერძოდ:

ა) სისხლის სამართლის პროცესი იწყება შორეული ეტაპიდან, როდესაც შესაბამის ორგანოში დარეგისტრირდება დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების შესახებ მოქალაქეთა განცხადება ან ინფორმაცია;

ბ) პროცესი იწყება სასამართლოს მიერ ბრალდებულის დაპატიმრების ბრძანების გაცემით;

გ) პროცესის საწყისი მომენტია პირველივე მოქმედებების შესრულება იმ მასალების შესაგროვებლად, რომლებიც შესაძლებელია გადაიქცეს მტკიცებულებად;

დ) პროცესის დასაწყისია პირის დაპატიმრება, დაკითხვა და ა.შ.

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროცესის საწყის ეტაპად ითვლება მიღებული და რეგისტრირებული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. არსებობს შემთხვევები, როცა ზემოხსენებული ინფორმაციის რეგისტრაცია ემთხვევა პირის დაკავებას ან დაპატიმრებას, ანდა რეგისტრაცია ხდება მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა გარკვეული ოპერატიულ-სამძებრო ან საგამომძიებო მოქმედებები. ხშირად პოლიცია მოქმედებას იწყებს განცხადების ან სხვა შეტყობინების რეგისტრაციამდეც.

⁵⁴ ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამომძიებისსტადიაზე),გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015,96.

მოცემულ ეტაპზე განხორციელებული მოქმედებების მიზანია საქმეზე დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შემოწმება. თუ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგინდება, მაშინ უნდა შესრულდეს გარკვეული მოქმედებანი იმ მონაცემთა გამოსავლენად, რომლებიც იძლევა დაპატიმრების საფუძველს ან ადასტურებს მის დასაბუთებულობას. ამდენად, გარკვეულ შემთხვევებში დანაშაულის შესახებ განცხადების ან ინფორმაციის რეგისტრაციამდეც შეიძლება მოხდეს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და მტკიცებულებათა შეგროვება.

ინგლისში სისხლის სამართლის საპროცესო აქტებით დეტალურად არ რეგულირდება გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესო წესები. ამ სახელმწიფოს არ გააჩნია ერთიანი კოდექსი, რომელიც დაარეგულირებდა სისხლის სამართლის საპროცესო წესებს. გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა წესრიგდება ცალკეული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

ინგლისში „დანაშაულთა დევნის შესახებ“ 1955 წლის კანონის მიღებამდე, პოლიცია წყვეტდა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საკითხს, პოლიცია იღებდა გადაწყვეტილებებს აგრეთვე შემდგომ საკითხებზე, ანდა გადაწყვეტილებანი მისი სახელით მიიღებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ინგლისის პარლამდენტმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სამეფო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის მონოპოლია გადასცა ერთ დაწესებულებას-გვირგვინის საბრალდებო სამსახურს.⁵⁵ აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო ძველი სისტემის არაეფექტურობით- პოლიცია ვერ უზრუნველყოფდა საკმარის ობიექტურობასა და ნეიტრალიტეტს მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასების პროცესში, რისი შედეგიც იყო არასრულყოფილი საქმეების სიმრავლე სასამართლოში. ყოველივე ამის გამოსწორების მიზნით შექმნა გვირგვინის საბრალდებო სამსახური.

აღნიშნულ სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია გენერალური პროკურორის წინაშე, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს დამოუკიდებლად.

⁵⁵ ზ.მეურმიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.57.

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საქმეები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება,⁵⁶ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის წინაპირობად ითხოვს გვირგვინის ერთ-ერთო სამართლებრივი მოხელის(გენერალური პროკურორის ან საჯარო დევნის დირექტორის) თანხმობას.

ამ ქვეყნის კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმეზე დევნის შეწყვეტა შესაძლებელია სამ შემთხვევაში:

ა) როდესაც იურიდიულად დევნა შეუძლებელია (ქმედებაში არ არის დანაშაულის ნიშნები, პირს არ აქვს შესაბამისი ასაკი, გავიდა პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა); ბ) როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად შეუძლებელი(დანაშაული ვერ გაიხსნა); გ) როდესაც პოლიციამ გახსნა დანაშაული, მაგრამ მიზანშეწონილად არ თვლის პირის სიხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას. ამ შემთხვევაში საქმე არ გადაეცემა სასამართლოს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პოლიციის უარი დევნის შესახებ არ კონტროლდება, მათ შორის არც სამეფო სამსახურის ან სასამართლოს მხრიდან, შესაბამისად, პოლიცია თითქმის უკონტროლოა ამ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის საკითხში, თუმცა კანონმდებლობა დაზარალებულს ან სხვა დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, თავად აწარმოოს დამოუკიდებელი გამოძიება. აღნიშნული პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათად ხდება.⁵⁷

გამოძიების დასრულების შემდეგ პოლიცია საქმის მასალებს სამეფო სამსახურს გადასცემს, რომელიც იღებს დევნის შესახებ გადაწყვეტილებას. აღნიშნული იმითაა გამოწვეული, რომ შეფასდეს მტკიცებულებათა საკმარისობა, გაიფილტროს შედარებით „სუსტი“ საქმეები და სასამართლომდე მხოლოდ იმ საქმეებმა მიაღწიოს, რომლებსაც აქვთ მტკიცებულებითი საფუძვლები.

დევნის გაგრძელება-შეწყვეტის საკითხი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება „გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსით“. დევნასთან დაკავშირებული საბრალდებო სამსახურის გადაწყვეტილებანი კი კონტროლდება მაღალი სასამართლოს მხრიდან.

⁵⁶ აბაშიძე გივი- პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე). საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2011 წელი. გვ.212

⁵⁷, იქვე. გვ.215.

5.2. სისხლისსამართლებრივი დევნა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

სისხლისსამართლებრივი დევნა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა.

საფრანგეთში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის უმთავრეს ორანოდ საჯარო ბრალმძებელს-რესპუბლიკის პროკურორს ადგენს.

რესპუბლიკის პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს საფრანგეთის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

ამ ქვეყანაში პროკურორის მთავარი ფუნქციაა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება სამართალწარმოების ყველა სტადიაზე. აღნიშნული ფუნქცია გარდა, პროკურორი ასევე ხელმძღვანელობს სასამართლო პოლიციას, მონაწილეობს საჯარო სარჩელის აღძვრაში, უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და სხვა.

ფრანგული პროკურატურისთვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქიული დაქვემდებარება ქვემდგომი პროკურორისა ზემდგომისადმი. იუსტიციის მინისტრს, წარმოადგენს რა პროკურატურის უმაღლეს ხელმძღვანელს, შეუძლია გენერალურ პროკურორს დაავალოს კონკრეტულ დანაშაულებზე საქმის აღძვრა. სხვა მხრივ, რესპუბლიკის პროკურორი უფლებამოსილია, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დაიწოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.

საფრანგეთის კანონმდებლობა პროკურორს არ ანიჭებს ფართო დისკრეციას, იგი შეზღუდილია ამ უფლებამოსილების გამოყენების მხრივ და ვერ გამოიყენებს მიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ, ასევე იმ პირის მიმართაც, რომელზეც უკვე გამოყენებული იქნა დისკრეციული უფლებამოსილება. ფრანგული კანონმდებლობა დაზარალებულს ანიჭებს უფლებამოსილებას, სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილებანი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საფრანგეთში, გამონაკლის შემთხვევებში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსაც აქვთ უფლება, აღძვრან სისხლის სამართლის საქმე. ეს ორგანოები შესაძლოა მოქმედებდნენ დამოუკიდებლად ან პროკურორთან ერთად.⁵⁸

⁵⁸ აბაშიძე გივი- პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე). საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2011 წელი. გვ. 216.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების წარმოების ფუნქცია საფრანგეთში გააჩნია როგორც სასამართლო პოლიციას, ასევე გამოძიების მოსამართლესაც, რომელსაც საქმე გადაეცემა პროკურორის ან დაზარალებულის ინიციატივით. მოსამართლის მიერ წარმოებულ გამოძიებას ეწოდება წინასწარი სასამართლო გამოძიება და მისი მწარმოებელი უფლებამოსილია, თავად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებანი. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს, ჩაატაროს ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის სიმართლის დასადგენად. მიუხედავად მოსამართლის ამგვარი ფართო უფლებამოსილებისა, ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც საფრანგეთში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს, არის პროკურატურა.

გერმანიაში, კანონის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს არ დაიწიოს სისხლის სამართლის დევნა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომლის მიმართ არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, ამასთან, თუ ერთი და იმავე დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისთვის დაწესებული სასჯელი უმნიშვნელოა. ამ შემთხვევებში საქმე უპირობოდ წყდება. სხვა შემთხვევებში ხდება პირობითი სასჯელის დაწესება, ზარალის ანაზღაურება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან მედიაციის დანიშვნა. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის თანხმობა აუცილებელია. მძიმე დანაშაულებზე დევნის შეწყვეტის უფლება აქვს ფედერალურ გენერალურ პროკურორს განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, კერძოდ, თუ დევნის დაწყება ან გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ინტერესებს ან სხვა არსებითი საზოგადოებრივი ინტერესები გადაწონის გამოძიების ინტერესებს; თუ დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ხელი შეუწყო სახელმწიფოსათვის ზიანის თავიდან აცილებას და ა.შ. ასეთ შემთხვევებშიც მოსამართლის თანხმობა აუცილებელია.

საბერძნეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი დევნა პროკურორის ფუნქციაა. პროკურორი ამ ქვეყანაში არ არის პროცესის რომელიმე მონაწილე მხარე. იგი სასამართლო მოხელის სტატუსითაა წარმოდგენილი, არ იცავს რომელიმე მხარის ინტერესებს და ევალუა მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების ძიება, რაც გულისხმობს იმ ფაქტების მოძიებას, რომლებიც ბრალდებულისთვის როგორც სასარგებლო, ასევე საზიანო შეიძლება იყოს.

საბერძნეთში, სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიხედვით, პროკურორი ემორჩილება ზემდგომის მითითებებს, თუმცა ამასთან ერთად, უფლება აქვს, გამოხატოს საკუთარი აზრი სასამართლო პროცესზე.

საბერძნეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურორის უმთავრესი ფუნქცია სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირისათვის ბრალდების წაყენებაა. კონკრეტული შემთხვევებისდა მიხედვით, პროკურორს აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს შეკვეცილი ან ჩვეულებრივი გამოძიების წარმოება. აგრეთვე, მას უფლება აქვს, უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუმცა ეს უფლება გააჩნია მხოლოდ ეჭვმიტანილისათვის ბრალის წაყენებამდე. თუ პირს ბრალდება უკვე წარდგენილი აქვს, პროკურორს მხოლოდ საქმის გადაცემის შესაძლებლობა აქვს სასამართლოს საბჭოში, ბრალდებულის გამართლების მოთხოვნით.

იტალიაში სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო აგრეთვე პროკურატურაა, რომლის სტრუქტურაც შედგება პროკურატურის სამსახურისაგან-პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ტრიბუნალის დონეზე, ხოლო სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს დონეზე-გენერალური პროკურორის სამსახურისაგან. ასევე, საჯარო ბრალმდებელი არის წინასწარი გამოძიების ხელმძღვანელი, რომელიც დევნის აღძვრაზე ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას.

ბრალმდებელი იტალიაში დევნას ახორციელებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. აღნიშნულს განამტკიცებს იტალიის კონსტიტუცია, შესაბამისად, ამ ქვეყნის სამართალში არ არსებობს დევნის “ხელსაყრელობის” პრინციპი, რომელიც პროკურორს საშუალებას აძლევს, დისკრეციის ფარგლებში შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

აგრეთვე, ამ ქვეყანაში არ დაიშვება ბრალის შესახებ გარიგება, თუმცა შესაძლებელია შეთანხმება ბრალდებასა და დაცვას შორის, მეტად შეზღუდული ფორმით. ყოველივე ეს იმითაა გამოწვეული, რომ “ხელსაყრელობის” პრინციპი შესაძლოა ბოროტად იქნეს გამოყენებული.

იტალიაში ზოგიერთი დანაშაული შესაძლოა დაიწყოს მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, თუმცა საჩივარი პროკურორს აძლევს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებას და არა ვალდებულებას. ლუქსემბურგის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ: დაზარალებული - კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საამისოდ უფლებამოსილი პირი. საჯარო სამინისტროს შეუძლია აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ იგი უფლებამოსილი არ არის, საჭიროების შემთხვევაში უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე. შოტლანდიაში სისხლისსამართლებრივი დევნა საჯარო ფუნქციაა და სახელმწიფოს სახელით ხორციელდება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში ვლინდება უდიდესი როლი, რომელიც მას საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მიანიჭა. ამ უფლებამოსილებათა მნიშვნელოვან ნაწილი ამ ნაშრომში განხილულ იქნა, თუმცა როგორც ყველა სიახლეს, ისე საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსაც ახლავს გარკვეული სახის ხარვეზები, რომლებსაც, შეძლებისდაგვარად და გარკვეულ ფარგლებში ზემოთ შევხებით.

ნაშრომში წარმოდგენილია სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების დეფინიცია და სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები ამ თემასთან დაკავშირებით.

იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის შესახებ ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნად პროკურორის საქმიანობა, რომელსაც ის ახორციელებს საქმეში ბრალდებულის გამოჩენამდე. ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდების მხარდაჭერაზე ფართო ცნებაა და იგი მოიცავს იმ მოქმედებებსაც, რომლებიც მიმდინარეობს ბრალდებულის გამოჩენამდე, ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდება პროცესის გარკვეულ სტადიაზე ერთმანეთს ფარავს. სსსკ–ს მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავებით ან ბრალდებულად ცნობით(დადგენილების გამოტანით პირის ბრალდების შესახებ და ბრალდების წარდგენით), თუმცა დაკავების შემთხვევაშიც პირს ბრალდებულის სტატუსი აქვს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა. ამავე კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). მაგალითად, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა დანაშაულის ჩადენისას პირს წაასწრო და დააკავა, რაც სამართლებრივად ნიშნავს დევნის დაწყებას დაკავების მომენტიდან, შესაბამისად ეს ქმედება ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის კონცეპტუალურ საფუძველს (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებათა). ამდენად ეს საკითხი

მომავალში საჭიროებს დამატებით კვლევას და ანალიზს, რომ მოხდეს მისი საკანონმდებლო გადაწყვეტა.

სსსკ 168-ემუხლის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოში გასაჩივრების უფლება კი ეხება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რაც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას, ვინაიდან დაზარალებულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საშუალება, სასამართლო წესით მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა, ამასთან, სასამართლო კონტროლი არ გულისხმობს პროკურორის დისკრეციის შეზღუდვას, რადგანაც პროკურორს კანონი ავალდებულებს, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, ხოლო სასამართლო კონტროლი გულისხმობს სწორედ ამ საფუძვლების გამოვლენას.

ასევე, წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილეთ ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც (და ეს კანონმდებლობითაც ასეა) სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება ყოველთვის წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, რაც საკამაოა, რადგანაც მაგალითად, შესაძლებელია დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა დანაშაულის ჩადენისას წაასწროს დამნაშავეს რომლის დაკავება განახორციელა იმ მომენტშივე, ხოლო შემდგომ უზრუნველყოს მისი უახლოეს სამართალდამცავ ორგანოში გადაყვანა და შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის შედგენა მათ შორის გამოძიების დაწყების ბარათის. ამდენად დგინდება, რომ დაკავების მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო გამოძიების დაწყება ხდება დაკავების შემდგომ, შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები იყო პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელსაც არ აქვს იმდენად ფართო ფარგლები, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და იუსტიციის მინისტრის ბრძანების მეშვეობით, დისკრეცია საკმაოდ მისაღებ ჩარჩოებში ზის, ამას ემატება ზემოაღნიშნული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,

რომელმაც დაადგინა უფლებათა დარღვევა დაზარალებულის მდგომარეობასთან დაკავშირებით და არაკონსტიტუციურად ცნო დაზარალებულის გასაჩივრების შეუძლებლობა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კანონში შემჩნეულ რამდენიმე ხარვეზზე, რაც მინიმალურია რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, პროკურორის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის სუბიექტს თითქმის ყველა შესაბამის საპროცესო ნორმასთან აქვს შეხება და მისი დაცვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის შესაბამისი ნორმები ასახული და განმტკიცებული კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. პრაქტიკულ რეალიზაციას თან უნდა ახლდეს სათანადო საფუძველი და სამართლებრივი გარანტიები. კანონში დაშვებული თითოეული შეცდომა თუ ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მხარეთა უფლებრივ საკითხებზე და აქედან გამომდინარე - მათ საქმიანობაზე. ზემოთ განხილული საკითხები საჭიროებს მომავალში კიდევ უფრო მეტ დეტალურ შესწავლასა და სამართლებრივ ანალიზს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი (შესაბამისი ნორმის არარსებობის გამო და მცდარი ინტერპრეტირების კუთხით) და ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (09.10.2009)
2. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ(30.11.2018)
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #181 სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ. თბილისი,2010 წლის 8 ოქტომბერი.
4. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (87) 18 სისხლისსამართლებრივი იუსტიციის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე. დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, მინისტრის მოადგილეების 1987 წლის 17 სექტემბრის 410-ე შეხვედრაზე.
5. სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ-გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები. წიგნი მე-2. გამომცემლობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბილისი, 1999,
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (25/06/1999)

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,ავტორთა ჯგუფი, თბ., 2015
2. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი(კერძო ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017
3. ბ.მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში(გამომიებისსტადიაზე),გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015
4. ბ. მეურმიშვილი,პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, ჟ „სამართალი“, 2001, # 8,

5. აბაშიძე გივი- პროკურორი, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე). საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2011 წელი.
6. აბაშიძე გივი, სისხლის სამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ფუნქცია და მისი განხორციელება გამოძიების სტადიაზე, თბ., 2018.
7. გაბისონია ი.-საფრანგეთის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები. ჟ.სამართალი. #5. საქართველო, თბილისი, 2001 წ.
8. ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999.
9. მამნიაშვილი მ., გახოვიძე ჯ., აქუბარდია ი. და სხვ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწ. გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2013;
10. gucenko k.f, golovko l.v, filimonovi b.a. – დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი (თარგმანი ქართულ ენაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2007 წ.
11. გ. მეფარიშვილი, სს დევნისა და გამოძიების თანაფარდობა, ჟ „მართლმსაჯულების მაცნე“, 1996, #1.
12. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლისსაპროცესო-სამართლებრივი სისტემები, თბ., 2002.
13. ი. აქუბარდია საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია, თბ., 1999.
14. სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2008.
15. სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სტუ, თბილისი 2015.
16. ბელთაძე ვ., დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლის სამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 16, თბილისი, 2011.
17. ჭაბაშვილი, მ. (1973). უცხო სიტყვათა ლექსიკონი . თბილისი: ”განათლება”
18. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999.
19. Harris, D. (2012). The Interaction and Relationship Between Prosecutors and Police Officers in the United States, and how this Affects Police Reform

Efforts. Luna, E., Wade, M. and Bojańczyk, A. The Prosecutor in Transnational Perspective. New York, Oxford University Press.

20. James Q. Whitman ARTICLE: EQUALITY IN CRIMINAL LAW: THE TWO DIVERGENT WESTERN ROADS. The President & Fellows of Harvard College. The Journal of Legal Analysis Winter, 2009 1 J. of Legal Analysis 119.
21. Wemhoff v. Germany, 27/06/1968, N 2122/64 .
<http://catalog.supremecourt.ge/blog/foto/212.pdf>
22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება №1გ/622-17. <http://library.court.ge/judgements/64602017-05-15.pdf?fbclid=IwAR34fsGqUdFJcqjAGs0C9HPYRG6qr4lnJtWUelf9WcJoZPmVFvRt6q93OOg>

დამატებითი ინფორმაცია:

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წლის 06 თებერვალი.
<http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf>